619
1992

ეროვნული ბიბლიოთეკა

ISSN 0130—1624



მაისი
№ 5 1992



# დროშა





# ჯეიმს ბეიკერი საქართველოში









№ 5 მაისი (663)
1992

# დროშა

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

შინაარსი:

ციალა არდაშელია. „ორბი ფრთე-მალე“.

მამუკა ცეცხლაძე. ძალადობის ქართული კონცეფციის გამო.

ვანო ჩხიკვაძე. დიდი. პატარა ბიჭი (მოთხრობა).

იმირ მამედლი. ლექსები.

ნანა ღვინეფაძე. თავგანწირვა.

ეთერ ლონდარიძე. შენ საქართველოს დედოფლობა დაგმშვენდებოდა...

ჯუმბერ ტიკარაძე. მკვლელნი.

ლევან დოლიძე. წმინდა ტაძარი.

ჟიულ რენარი. მინიატურები (თარგმანი).

ეთერ ჯაფარიძე. ალსარება.

თეიმურაზ ფირალიშვილი. გეზი. გუმანი. გეში...

მთავარი რედაქტორი
ჯანსულ ჩარკვიანი

●

სარედაქციო კოლეგია:

აკაკი ბაქრაძე. გულნარა გახტაძე (პასუხისმგებელი მდივანი). ვასილ გვეტაძე. თედო ნინიძე. დინარა ნოდია (მხატვარ. რედაქტორი). ელდარ შენგელაია. ზურაბ წერეთელი. თამაზ ჭილაძე. ნოდარ ჯაველიძე.

# ორბი ფრთა-მალი

ციალა არდაშელია

„თამარ-ქალო, ქვეყნის თვალო
რა ლამაზი რამა ხარო". — გუგუნებდა დარბაზში სიმღერა — ლაღი, ომახიანი, ამასთან, ღრმა ლირიზმით გაჟღენთილი.

„მეფე თამარ ქალისთანა,
ამომავალი მზისთანა...
მეფე თამარ ქალისთანა
საყდარი გელათისთანა"... — საუკუნეების უსიერი ტევრიდან დაძრულ ამ დიდებულ ჰანგში მკაფიოდ შეიგრძნობოდა ერის ძალუმი გულისფეთქვა, სვებედნიერი ხანის გამოძახილი. მაგრამ... მეფე თამარი და გელათის საყდარი! ერთი შეხედვით, თითქოს უცნაური და მოულოდნელი შედარებაა. თამარ ქალი, როგორც მოფერებით და სიყვარულით ეძახდა მას ქართველი ხალხი, შეიძლება შეუდარო ამომავალ მზეს, დასახო ქვეყნის თვალად, სიბრძნისა და სათნოების საუნჯედ და ათასი სხვა, ერთიმეორეზე უკეთესი ეპითეტებით შეამკო ღვთივგვირგვინოსანი, შვიდმნათობიერი, და ასე იქმოდნენ კიდეც მისი თანამედროვე თუ მომდევნო თაობების პოეტები და ხალხური მთქმელები. მაგრამ გელათის საყდართან გატოლება ქალისა, თუნდაც ძლიერი სახელმწიფოს გამგებლისა, მაინც უჩვეულოდ ჟღერს. მაგრამ ქართველმა ერმა თავის მოღვაწეობით მიიჩნია მეფე თამარი გელათის საყდრის სულიერი საგანძურის ღირსეულ მემკვიდრედ, დავით აღმაშენებლის — მისი დიდი პაპის საქმის გამგრძელებლად. აკი ნათლის სვეტად, მთიებად მონათლულ თამარს მეფე უწოდა, ანუ მამაკაცის სახელი მიანიჭა და „მით გვერდში ამოუყენა მსოფლიო მამაკაც გმირმირონცხებულებს", რომელთა გალერეაში მართლაც რომ სასწაულებრივად გამოირჩევა თამარის სწორუპოვარი სახე, მისი უბადლო თავმდაბლობა და დიდბუნებოვნება.

ქვედამზიდველმა საწუთრომ ვერანაირი ბიწი ვერ მოსცხო მზეთამზე თამარს. გარდარეულ სიმდიდრესა, დიდებასა და სიმაღლეთა შინა მყოფს თავი ისე ეჭირა, თითქოს არარაი ჰქონებოდა, ყოველთა კაცთა უდარეს და უგლახაკესად შეერაცხა თავი თვისი, რამეთუ მტკიცედ უწყოდა, რომ „შიშველი გამოვედ დედის მუცლიდან ჩემითგან და შიშველსა მეგულების წარსვლად".

მემატიანენი თამარს ერთხმად წარმოგვიდგენენ როგორც სახელმწიფოს გამჭრიახ მმართველს: თვინიერ თამარისა, არაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო სამეფოში. ყველაფერი მას უნდა მოხსენებოდა, მას უნდა გაესინჯა საქმე, გამოეკითხა წვრილად. იგი უცებ ერკვეოდა რთულ ვითარებაში, უმალვე განსჯიდა და სათანადო ბრძანებებს მისცემდა ამირსპასალარს, ან სხვა შემთხვევაში სასწრაფოდ მოიწვევდა „დარბაისელთ", რომელნიც ელვის სისწრაფით ასრულებდნენ მის განკარგულებებს.

თამარის ისტორიკოსი ერთგან შენიშნავს, რომ თამარმაო „ვითარცა ორბმან ფრთე-მალემან აღიფრინვა ზე და მიმოავლინა გუგანი სახედველთანი და სივრცითა გონებისა თვისისათა შემოკრიბა ყოველივე საღმრთონი და საერონი წესნი და განგებანი".

...თამარი ბრძანებდა და მისი ბრძანება დაუყოვნებლივ სრულდებოდა. შამქორის ომის წინ, თამარის წვევით „ათი დღის შიგნით" „ვითარცა გროი შავარდენთა მოფრინდა ყოველი მხედარი; ყოვლით კერძო, იმიერ და ამიერ, სავსენი სიხარულითა".

მემატიანის თქმით, შეკრებილ ჯარს თამარმა სიტყვით მიმართა. შემდეგ ულოცა სპათ, შეავედრა ისინი ღმერთს, წარუძღვანა „ძელი ცხოვრებისა და თანა წარატანა ჭყონდიდელი". ხოლო თვით „წარიხადნა სამოსელნი ფერხთანი, და შიშუელითა ფეხითა მიიწია ტაძარსა ღმრთისმშობლისასა მეტეხთა, და წინაშე ხატისა მას წმიდასა მდებარე არა დასცხრებოდა ცრემლთა და ვედრებად, ვიდრემდის სრულყო ღმერთმან სათხოველი მისი".

რა სურათი უნდა გადაშლილიყო მაშინდელი თბილისის მოქალაქეთა და საქართველოს ყოველი კუთხიდან შეყრილი ჯარის წინაშე, როცა მათი მეფეთა-მეფე, ღმრთივგვირგვინოსანი, შვიდთა სამეფოთა მფლობელი და პატრონი, „ელვარება და მზეებრ მაშუქებელი", რომლის მშვენიერებას შესტრფოდა და შეჰხაროდა დიდი თუ მცირე; მათი „თამარ-ქალი", ფეხშიშველი მიუძღვებოდა ლაშქარს, შემდეგ ფეხშიშველივე შეუყვებოდა მეტეხის აღმართს, ცრემლით ასველებდა ღვთიური სილამაზის ლაწვებს და ხატის წინ დამხობილი, მხურვალედ ევედრებოდა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს ქართული ჯარის გამარჯვებას მტერზე.

...შემდეგ, ტაძრიდან გამოსული, დროშას გორგასლიანს, დროშას დავითიანს ბაგრატონიანურსა, სვიანად მოხმარებულსა: „სინდეთს შესვლითგან მოსპეტაკებულს" — საქართველოს სახელმწიფოს ძლიერების სიმბოლოს — თავის ხელით გადასცემდა ამირსპასალარს ჯარის თვალწინ!

თამარი ბრძანებდა, ხოლო თამარის ბრძანება სიხარულით სრულდებოდა, თუნდაც სასიკვდილო ყოფილიყო ეს მოწოდება.

...საყურადღებოა, ის გარემოება, რომ ბასიანის ომის წინ, 1204 წელს თამარის დიპლომატიური და გამჭრიახი გონების წყალობით შეიქმნა ტრაპიზონის საკეისრო.

საქართველოს აი, ესოდენი ძლევამოსილება ვერ აეტანა სწორედ რუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის სასულტნოს. აი, ეს იყო მიზეზი რუქნ-ად-დინის ლაშქრობისა.

ქვეყანას სასიკვდილო საფრთხე დაემუქრა თურქთა კოალიციური ჯარის სახით.

... თამარის ბრძანება ჯარის წვევის შესახებ ისეთი სისწრაფით აღსრულებულა, რომ უკან მიმავალ რუქნ-ად-დინის ელჩს საქართველოს ლაშქარი კვალდაკვალ მიჰყვა და მოულოდნელად დაესხა თავს 400 ათასიან ჯარს.

ბასიანის ომში ქართველებს, მემატიანის თქმით, „დიდებული ძლევა მოჰმადლა ღმერთმა, ცრემლითა და სასოების სიმტკიცითა თამარისათა". ეს დიდებული ძლევა იყო თამარის პასუხიც გათავხედებული სულთნის მუქარაზე: „ძალსა ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისასა მინდობილმან, მარადის ქალწულისა მარიამისა სასოებით მოსავმან და პატიოსნისა ჯუარისა მვედრებელმან წარვიკითხე ღმრთისა განმარისხებელი წიგნი შენი, ნუქრადინო, და ვცან სიცრუვენი შენნი, რომელთა ბჭე ღმერთი იყოს...

და აწ წარმომივლენია ყოველი მხედრობა ჩემი წინამოგებებად შენდა. იყავ ნება ღმრთისა, ნუ შენი! სამართალი მისი, ნუ შენი!"

ბრწყინვალე გამარჯვება რუქნ-ად-დინის ურიცხვ, მაჰმადიანური ქვეყნების გაერთიანებულ ჯარზე ღვთის ნების გამოვლენად აღიქმებოდა.

... ყოველივე მშვენიერი, ლამაზი, ღირსეული ქართველი ერის წარმოსახვაში დაუკავშირდა მეფე თამარს. **თამარქალი და ქვეყნის თვალი** განუყრელ სინონიმებად იქცა. ამასთან, თამარის სახე ქალღმერთის თვისებებს იძენს ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში. ერთმანეთს ეხლართება მითი და ისტორია. თამარი ღვთისშვილია, ციური ასულია. თამარმა დაატყვევა ზამთრის მომყვანი შუქურ-ვარსკვლავი, იგი შეკაზმული ჰყავს და ისე დაიარება და აშენებს. სხვა ვერსიით, წყეული გველი თუ ვეშაპი მოათვინიერა და იმას დააქროლებს (აქ უნებლიეთ მედეას სახე გვაგონდება, აკი მედეაც დრაკონშებმული ეტლით მოგზაურობს, გველეშაპს აძინებს და სხვ.).

„ჰოი, სიხარულო, თამარ
დედოფალო,
ყველაზე ლამაზო, თამარ
დედოფალო..."

გუგუნებდა თამარის საგალობელს მთა და ბარი, ზვიადი კავკასიონი და ზურმუხტისფერი ველ-მინდვრები, ტყეები და მდინარეები.

თამარის სტუმრობა საქართველოს ყოველი კუთხისათვის ზეიმი იყო, თამარის მოსვლა გაზაფხულის მობრძანებას ნიშნავდა. სადაც კი ფეხს დაადგამდა თამარი, იქ ვარდყვავილი იშლებოდა, ბუნება დღესასწაულობდა, იშვებდა და იხარებდა ყოველი სულდგმული თუ უსულო საგანი...

... თამარს ვაქებდეთ, გულისხმიერსაო, ერთხმად ღაღადებდნენ თამარის თანამედროვე მგოსნები, რომელთაც, თამარის შემხედვარეთ, თავი სიზმარში ეგონათ.

„მეფე-საკვირველება", როგორც ჩანს, თავისთავად, უნებურად იწვევდა მის თანამედროვეთა განუზომელ ხოტბა-დიდებას, ამაღლებულ, ზეაწეულ კილოს, ჭარბ პათეტიკას.

თამარ-მზეს ეთაყვანებიან სხვა მნათობები, თავად მზე ბნელდება თამარის სინათლით და შემდეგ, კლასიკური, ჩვენს ხსოვნაში სამუდამოდ აღბეჭდილი ჩახრუხაძის სტრიქონები:

„თამარ წყნარი, შესაწყნარი,
ხმა-ნარნარი, პირ-მცინარი,
მზე-მცინარი, საჩინარი,
წყალი მქნარი, მომდინარი..,
ვარდ-შამბნარი, შამბ-მაღნარი,
ღაწვ-მწყაზარი, შუქ-მფინარი",
მფინარი".
„სამგზის ნეტარი" თამარი:
„ძირით მისისა იესუისა
შვილი მართალი იშვა ცხოვრებად,
ქალწულ-წმიდისა წილხდომილისა,
საქართველოსა მეფედ წოდებად,
სვეტად სჯულისად, ზღუდედ
სულისად,
აგარის ერთა ცეცხლთა
მომდებად".

სამგზის ნეტარი თამარ: თვალია ბრმათა, ყრმათა გამზრდელი, მშიერთა პური, უსახლოთ — სართული, მამა — ობოლთა, მსაჯული ქვრივთა, კვერთხი მოხუცებულთა.

„მოგვფენ სიბრძნეთა, წერილთ სიღრმესა, თვით განგვიმარტებ მადლთა მთხრობელი... ვნატრი ელადსა, თვით მას გელათსა, სად რომ დაკრძალვენ წმინდათ სხეულთა!"

— სახარების სიბრძნეს განასახიერებ და თვითვე განგვიმარტავო მის სიღრმეს, — შავთელის აზრით, ეს მხოლოდ ფილოსოფიასა და ღვთისმეტყველებაში ღრმად განსწავლულ პიროვნებას თუ შეეძლო. აქაც უთუოდ არეკლილია „ახალი ათინას" — გელათის აკადემიის განუზომლად დიდი როლი მაშინდელი საქართველოს მოწინავე ადამიანების აზროვნების ჩამოყალიბებასა და წრთობაში.

თამარი ბრწინვალება და ნათელია მშობლების თვალთა, გვირგვინია ყოველთა ხელმწიფეთა, მზეთა-მზე და დედოფალთა-დედოფალია — შარავანდედთა შორის უმეტეს აღმობრწყინებული.

დიდი ივანე ჯავახიშვილი, როცა აჯამებს თამარის მოღვაწეობას, აღნიშნავს: ქართველი ერისათვის მაშინაც და შემდეგაც დიდი თამარის სახელი იმიტომ იყო სათაყვანებელი, რომ „ზესთაბუნებრივის ძალით მასში გაერთიანებული იყო ქალის მომხიბლავი მშვენიერება და ვაჟკაცური მამაცობა, სახელმწიფო მოღვაწის სიბრძნე და უმანკო, ყოვლად მოწყალე, განურისხებელი გული. მარტო ის რად ღირდა, რომ საქართველოს უუმწვერვალესი სამხედრო ძლიერების დროს ისტორიამ ნაზსა და სათუთ არსებას, უმშვენიერეს ქალს არგუნა მეფობა, რომელმაც საქართველოში დამნაშავეთა სიკვდილით დასჯა ამოკვეთა და დამასახიჩრებელი სასჯელი მოსპო! ამის შემდეგ ან რა გასაოცარია, თუ რომ საქართველოში „სახლთა ზედა აკროსტიხურად თამარის შესხმათა დასწერდეს" და „ყრმანი... თამარის ქებათა მელექსეობდიან"... თუ რომ რუსეთის მეფეს ივანე მრისხანესაც კიდევ ახსოვდა თამარის დიდებული მოღვაწეობა და ბრძოლის ველზე მისი მაგალითით ამხნევებდა თავის ჯარს. განა გასაკვირველია, რომ დიდებული მეფის სახელი იმდროინდელ ფრანგ და ბერძენ მეზღვაურებს შეექო და ერაყის მომღერლებს ედიდებინათ".

თამარი გარდაიცვალა 1213 წლის 18 იანუარს.

ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა, ეს, აკაკის თქმით „მეფეთა შორის საკვირველება" და მისი ხსოვნის დღედ დააწესა პირველი მაისი, ანუ როგორც ძველად უწოდებდნენ ვარდობისთვის პირველი დღე. ქართველმა ერმა მრავალი ლეგენდა შექმნა თამარის საფლავის გარშემო. თითქოს არ ემეტებოდა მიწისთვის თავისი ღვთაებრივი ასული...

მარტო „ვეფხისტყაოსანს" რომ მოეღწია ჩვენამდე და არაფერი გვცოდნოდა თამარზე, მაინც მარად უკვდავი იქნებოდა მისი ხატება, რადგან თამარის სწორუპოვარმა სახემ შთააგონა გენიოსი პოეტი, მეფე-თამარის უბადლო მშვენებამ აღანთო მგოსნის გულში ლამპრად მარადიული გრძნობა, რომელმაც საბაბი მისცა მის მშობელ ერს შეეთხზა მშვენიერი ლეგენდები ამ ჭეშმარიტად ღვთაებრივ სიყვარულზე.

...გავლენ საუკუნენი, სისხლითა და ცრემლებით დაღდასმულნი და მოგონებაღა დარჩება „ოქროს ხანაზე", იმ დროზე, როცა ერმა ღვთის სწორად მიიჩნია მეფე თამარი და წმინდანად შერაცხა იგი, როცა სწამდა და სჯეროდა: „თამარ დედოფლის გვირგვინი ქართველთ სამეფო გვარიაო".

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამუკა ცეცხლაძე

# ძალადობის ქართული კონცეფციის გამო

ყოველგვარი ძალადობა ბოლოსდაბოლოს აბსურდია და „ამაოება ამაოთა“ — ვიცით ეს ადამიანებმა, მაგრამ „ცოდნა არას გვრგებს“ და განუწყვეტლივ ვეომებით მაინც ერთიმეორეს. ვინ, ვის და რატომ ვეომებით — ყოველთვის ცხადია და გასაგები; რა რას ეომება ჩვენს არსებაში და ჩვენს გარეირგვლივში — ეს არ არის ყოველთვის ცხადი და გასაგები. რა თქმა უნდა, რომ ბოროტი ეომება კეთილს, რა თქმა უნდა, რომ კეთილის არსებაა ყოველთვის „გრძელი“, მაგრამ სად ჩერდება მაინც ეს ჩვენი სიკეთე და სად წარმოიქმნება ის დაბრკოლება, რასაც ჩვენ ბოროტებას ვუწოდებთ, ან — ქრისტიანული მრწამსით — „სიკეთისაგან მოკლებას“? ვინა ვართ საერთოდ ადამიანები. საიდან მოვდივართ და საით მივდივართ? ამ მარადიული კითხვების პასუხს — პიროვნებისა იქნება ეს პასუხი. ერისა, თუ სარწმუნოებისა — ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ძალადობის ჩვენივე საკუთარი საზრისი და კონცეპცია, საფუძველი, ხარისხი და ხასიათი წარმოაჩენს ყველაზე უკეთ.

ქართველობას, მაგალითად, 363 წმინდა გიორგის მადლი შეგვეწეოდა მუდამ და განსაკუთრებული უბედურებისა და გაჭირვების ჟამს იმისი იმედი გვქონდა, რომ ამირანი ბოლოსდაბოლოს გასწყვეტდა იმ ჯაჭვს, რომლითაც იგი თავისივე ნათლიამ — ღმერთმა! — მიაჯაჭვა კავკასიონის კალთებს.

ჩვენ, რა თქმა უნდა, დარწმუნებულნი ვართ ყველა, რომ გიორგიცა და ამირანიც წმინდა სისხლის ქართველები არიან — ჩვენნი, ჩვენთაგანნი და ჩვენდა შემწირველნი, მაგრამ არ გვიჯერებენ ამას სხვები და მეცნიერებაც ჯერჯერობით იმ სხვებს უჭერს მხარს. ეს ორი პოლარული საზრისი — გეორგიანული და ამირანული — მართლაც იმდენად ზედროული და ზეეროვნული ჩანს, რომ შეუძლებელია, იმთავითვე ერთი რომელიმე ერის წარმომადგენლებში პერსონიფიცირდებოდეს; უფრო სავარაუდებელია ალბათ, რომ თავად ეს ოპოზიციური ერთობა ედოს სწორედ საფუძვლად ზოგადად ერისა და კერძოდ ჩვენი, ქართველი ერის წარმოშობას.

ცნობილია, მაგალითად, რომ მცხეთის სანახებს იერუსალიმისას ადარებენ და ამითიც ხსნიან ბიბლიური ტოპონიმიკის არსებობის ფაქტს ამ მიდამოებში. იერუსალიმი კი — „მშვიდობის ქალაქი“ — „შერწყმული“ ქალაქი გახლავთ — „ირესა“ და „შალომის“ ურთიერთშერწყმით არის მიღებული თავად ეს სახელი. გამორიცხული არ არის, მცხეთის სწორედ ამგვარივე „შერწყმულობას“ მოეზიდა ებრაელობა 26 საუკუნის წინათ მაინცადამაინც საქართველოში. „ქართულ-ებრაული ფენომენის“ საიდუმლოც ბოლოსდაბოლოს სხვა რა უნდა იყოს, თუ არა სწორედ ამგვარი „შერწყმის“ ზნეობრივი კოდექსის ზედმიწევნითი ცოდნა და განუხრელი გატარება ყოველდღიურ ცხოვრებაში?

„წიგნთა წიგნში“ ზოგადკაცობრიული გამოცდილებაა, მოგეხსენებათ, დაჯამებული — „ღმერთის რჩეული ერის“ თავგადასავალი კაცობრიობის თავგადასავალია და ყოველი გამოსავალი, რასაც ეს ერი ეძიებს და ჰპოვებს თავის წამებითა და კირთებით აღსავსე გზაზე, უეჭველად რემინისცენციული უნდა იყოს თავისი ბუნებით, ღმერთში დაბრუნებას, ანუ იმ ვითარების აღდგინებას უნდა ისახავდეს მიზნად, როდესაც „ერთი ღმერთი იყო და ერთი ენა ამ ქვეყანაზე“. ამგვარი „რემინისცენციული“ ქმედებანი არსებითად ყველგან არის შესაძლებელი და სავარაუდებელი დედამიწაზე, მაგრამ მესია აუცილებლად „ღმერთის რჩეული ერის“ წიაღში უნდა იშვას, რათა, უპირველეს ყოვლისა, სწორედ იგი იხსნას ბაბილონური ცდუნებისაგან, რაც, რაღა თქმა უნდა, რომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჰყავს მას ჩასაფრებული. პირველი ქრისტიანები ებრაელები იყვნენ. ებრაელები იყვნენ პირველი ქრისტიანები საქართველოშიც. „ლაშონ ჰა კოდეშ“ — ებრაელთა „წმინდა და საიდუმლო ენა“, მიუხედავად მთელი თავისი „სიწმინდისა და იდუმალებისა“, რეალურად მაინც სემიტურ ენათა ოჯახს განეკუთვნება, ანუ — იმ ენათა ოჯახს, რომლის წიაღშიც აღმოცენდა იგი თავის დროზე. საქართველოში ეს ენა არასოდეს გასცილებია სინაგოგის კედლებს. მირიანს ქრისტეს სჯულის მიღებისთანავე ქართული ენის შესწავლა ურჩიეს დაბეჯითებით ქურუმებმა. ენათმეცნიერებს დღემდე ვერ გადაუწყვეტიათ, თუ ენათა რომელ ჯგუფს შეიძლება განეკუთვნებოდეს ქართული ენა — ეჭვს იწვევს თვით იბერიულ-კავკასიური ჰიპოტეზაც. ქართული ენა ამრიგად, არცერთ ენას არა ჰგავს ამ ქვეყანაზე და მის შესახებ მხოლოდ ის ვიცით „დანამდვილებით“, რომ იგი ყველა ენის „საიდუმლოს“ ინახავს.

მისტიკა ერთია, ფანტასტიკა მეორე და ნურც ჩვენ შევეცდებით ამჯერად შორს მიმავალი დასკვნების გამოტანას. ჩვენ ქართული კონცეპცია გვაინტერესებს ძალადობისა, რადგან დღის წესრიგში სწორედ ეს საკითხი დგას დღეს საქართველოშიც და სხვაგანაც — ყველგან.

ქართველებს „გეორგიანებს“ გვეძახის ყველა, ვინც ისტორიულად, ასე თუ ისე, გვიცნობს, მაგრამ ამავე დროს საქართველოს ამირანის სახელითაც იცნობენ. რა გეორგია, რომელი გეორგია, სად არის ეს გეორგიაო — თუ იკითხა ვინმემ — ამირანის, ანუ პრომეთეს — (ამ ბოლო დროს კი — სტალინისაც) — სამშობლოაო — უნდა უთხრა და კავკასიონზე მიუთითო — სხვანაირად აბა, როგორ აუხსნი? გამოდის, რომ ამირანი საქართველოზე უფრო ცნობილია, მაგრამ საქართველო მაინც გეორგიაა და არა ამირანია.

ვინ არის ამირანი?

ამირანი არის ის კაცი, ვინც „ჯგარაგს“, ანუ იგივე გიორგის ებრძვის; ამირანი ქაჯებს ჰყავდათ ტყვედ და ამიტომ სოფელი მას ბოლომდე ვერასოდეს ენდობა; ამირანი მის მიერვე მოკლული დევის სახლ-კარის გაძარცვაზეც არ იხევს უკან, მაგრამ ძმები არ იზიარებენ მის ამ „მოროდიორულ“ სულისკვეთებას; ამირანი არღვევს ყამარისათვის მიცემულ პირობას — „ბრძოლის ველიდან რომ გამოხვალ, ხმალი არ ჩააგო, ასე ხმალამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღებული გამოეშურეთ პირდაპირ ჩემსკენ" — სიკვდილს გადაეყრება ამის გამო და მერე ისევ ყამარის გასაცოცხლებელი ხდება; ამირანი ღმერთს — თავის ნათლიას! — შეჰბედავს — დავეჭიდოთო — და ამის გამოა მიჯაჭვული კავკასიონზე.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ყოვლად ერთმნიშვნელოვნად აპოლოგეტურია მთხრობელის დამოკიდებულება ამირანისადმი და ჩვენც დღემდე სულ იმის ნატვრაში ვართ, რომ ამირანმა იქნებ ბოლოსდაბოლოს როგორმე გასწყვიტოს ის თავისი ჯაჭვი.

იმსახურებს თუ არა ამას ამირანი ჩვენგან?

უეჭველად იმსახურებს. იმსახურებს იმით, რომ „ქაჯების ნატყვევარი" „ქაჯებს" „ქაჯურადვე" უპირისპირდება, რაც ჩვენ — „არაქაჯებს!" — არ ხელგვეწიფება და არც უნდა ხელგვეწიფებოდეს. გეორგიანთათვის იმთავითვე ცხადი იყო, როგორ ჩანს და მით უფრო ცხადი უნდა იყოს ეს დღეს, რომ ყოველი ამირანის მოვლინებით ადამიანისა და, ესე იგი, ზოგადად კაცობრიობის შესაძლებლობებთან ერთად მისივე ბედი და ზნეობრივი რაობა გამოიცდება მხოლოდ და საზოგადო კეთილდღეობის თვალსაზრისით ამგვარი ქმედებებით გატაცება ყოვლად უეჭველი აბსურდია და „ამაოება ამაოთა".

წინა კაცი უკანა კაცის ხიდიაო, ჩვენში ამბობენ — ლათინურად ამას შეიძლება აპოსტერიორული აზროვნება ეწოდოს, ქართულად კი — უბრალოდ გლეხური, ან გეორგიანული — საპირისპიროდ ამირანული, ანუ პრომეთეული, აპრიორული აზროვნებისა. ჩვენმა „წინა კაცმა" — ი. ბ. სტალინმა — ამირანული აზროვნების ტიპიურად დასრულებული მაგალითი მისცა ჩვენს დროში, უპირველეს ყოვლისა, თავის სამშობლოს და მერე მთელს მსოფლიოს. „უკანა კაცმა" — ედუარდ შევარდნაძემ — გეორგიანულისა, პირველისათვის — ბედითად დაკომპლექსებულისათვის გამუდმებული და უმკაცრესი საზოგადოებრივი მეზალიანსით — ამბოხი და შურისძიება იყო ყოველ ფეხის ნაბიჯზე შთამაგონებელი. მეორე — მთელს გურიაში ცნობილი მასწავლებლის მრავალშვილიან ოჯახში პერანგით დაბადებული ნაბოლარა — აკვნიდანვე პასუხისმგებლობის გრძნობით გახლავთ გამსჭვალული. ამირანს ჩამოგავს ესეც ერთი შეხედვით, მაგრამ ვგონებ, რომ შურისძიება არასოდეს ყოფილა მისთვის თვითმიზანი და ამასა აქვს ჩვენს დღევანდელ შემთხვევაშიც გადამწყვეტი მნიშვნელობა. ფეხშეუშლელად თქო, ვერ ვიტყვი, მაგრამ წონასწორობა რომ არ დაუკარგავს, ისე იარა ამ კაცმა მთელი ცხოვრება ბეწვის ხიდზე საქართველოს ერთი მშვენიერი სოფლიდან კაცობრიობის ბედის მესაჭეთა იმ საკრებულომდე, რომელსაც არა აქვს და არ შეიძლება, ჰქონდეს ერთი რომელიმე გეოგრაფიული ცენტრი სადმე დედამიწაზე, რადგან — დედამიწა თუ მართლა მრგვალია და ბრუნავს — ყოველი სოფელი დედამიწის ცენტრია და ჭიპი, დედამიწაზე უნდა იყოს მშვიდობა, ყველა სოფელმა რომ შვებით ისუნთქოს.

ქართველებს რაც თავი გვახსოვს, ამირანი, უპირველეს ყოვლისა, მუდამ გიორგის ებრძვის, მაგრამ სწორედ ამ გიორგის ვერ ერევა იგი ვერასოდეს — საქართველოში ვერ ერევა. სხვაგან — კი. ყოველი ამირანის სამშობლოს მისივე ფიცვერცხლნაჭამი სულიერი ძმები განაგებენ ოდითგან, ისევე, როგორც თავად იგი განაგებს მათ სამშობლოებს, მეფე შეიძლება კეთილიც იყოს და ბოროტიც, გონიერიც და სულელიც, ღირსებაშემოსილიც და შიშველიც, მაგრამ ყველა მეფეს ყოველთვის თავისი უცხოური წარმომავლობით მოაქვს მაინც თავი. 26 საუკუნის წინათ საქართველოში მოსულ ებრაელებს მცხეთაში მამასახლისი დახვდათ და არა მეფე — „რესპუბლიკური", ასე ვთქვათ, მმართველობა და არა მონარქია.



ქართული ფენომენის საიდუმლო, როგორც ჩანს, მართლა „ქებაჲს" ტექსტშია ყველაზე უკეთ გაცხადებული, მაგრამ ქართულ ეროვნულ მესიანიზმს კი არ ქადაგებს ეს თხზულება, სხვა მრავალ ეროვნულ მესიანიზმთა მსგავსად, როგორც ეს ბევრს ჰგონია დღემდე ჩვენში, არამედ ზოგადკაცობრიული „საიდუმლოს" შემცველად რაცხს ქართულ ენას, რაც მხოლოდ იმაზე შეიძლება მეტყველებდეს, რომ ქართული ფენომენი, თავისი არსითა და ბუნებით, უეჭველად ზოგადკაცობრიულია და მისი ეროვნული ლოკალი — „ქვეყანა, სადაც წირვა-ლოცვა აღესრულების ქართულითა ენითა" — ამ „საიდუმლოს" — ქართული ენის! — მცველთა საუფლოა და არა თვითმიზანი, ან თვითკმარი მოცემულობა.

დემოკრატია პანაცეა არ არის, ძალადობაა ესეც და უჩარობის ჩარა — დემოკრატიის გარდაუვალ აუცილებლობას საყოველთაო უნდობლობა განაპირობებს ყველგან და ყოველთვის და ამდენად იგი მთლიანად დამოკიდებულია საყოველთაო ურთიერთნდობის სურვილზე და კეთილ ნებაზე. იქ, სადაც ეს სურვილი და კეთილი ნება არ არის საყოველთაო, საყოველთაო არც უნდობლობაა და სწორედ ასეთი ვითარებაა დღეს საქართველოში. დემოკრატიისათვის მზად არ აღმოვჩნდითო — გული გვისკდება; მართალია ეს, მაგრამ გულგასახეთქი აქ ის კი არ არის, დემოკრატიისათვის რომ არ აღმოვჩნდით მზად, გულდასაწყვეტია, რომ სიყვარული არც ჩვენ გვეყო და საერთაშორისო კანონის უზენაესობა გვჭირდება იმისათვის, რომ ერთიმეორეს თვალები გავუსწოროთ.

გვიჭირს ყველას და ამიტომ ისევ ამირანზე ვამყარებთ ყველა იმედს, მაგრამ მოგვიმრავლდნენ ამასობაში ეს ამირანებიც — ორი უკვე ბევრია, როცა საქმე ამირანს ეხება, ჩვენში კი გაცილებით მეტნი ჩემულობენ დღეს ამას. ამირანების სიმრავლე ომშია კარგი, აუცილებელნი არიან ამირანები აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც, მაგრამ ქართულ პარლამენტში 363 წმინდანი თუ არა, ამისი ნახევარი პატიოსანი გეორგიანი მაინც უნდა იჯდეს.

გაები ჩიტო მახეში? იგეც შენ! ხო წევხარ სიცხით ტუჩებდაწითლებული და თვალებმინაბული!.. სადღაა შენი რიხიანობა: ესაო, ისაო, პატარა აღარ გეგონოთ, რაც მინდა, ის უნდა ჩავიცვა და დავიხურო, ეგრე კი არ არის, ადრე რო ჩამფუთნიდით... ტელევიზორსაც თქვენ ნებაზე რომ გამომირთავდით ხოლმე, ახლა რამდენ ხანსაც მინდა, ვუყურებ... ჰაიო, ჰუიო, თუ სხვები საქართველოს დასაცავად წავლენ, მე თქვენ ზურგს ვერ ამოვეფარებიო...

სტუდენტი ხო ხარ და პირსაც იპარსავ.

იპარსავ, თორემ, შენი წვერის ნათიბი ერთ დიდ ძნად დაბულულდება, აი!

არა, ლამის მართლა არ დავიჯერე, რო უკვე დიდი ხარ, შენი სუვერენიტეტი და კონსტიტუცია გაქვს და ქადილის ძალიც შეგწევს...

ვხუმრობ, რა თქმა უნდა.

დავიჯერე! დავიჯერე და ღმერთმა ნუ გადამაჯეროს, მაგრამ... აი, ახლა, სიცხით გაბრუებული ძილ-ბურანში რომ კრთები, უცებ ისევ შენი ბავშვობის მიმნდობი, უმწეო თვალებით ამომხედავ ხოლმე.

დაგყურებ და მეღიმება:

შენ ჩემი დიდი, პატარა ბიჭი ხარ. როგორც არ უნდა „გაიზარდო", რამდენიც არ უნდა იბაქიბუქო, იზავთო და იგრიგალო, ჩემთვის მაინც იმ ცეროდენა სულელად დარჩები, რომ მეხვეწებოდი, სიზმარში წამყევი, მურიანი ბიჭი მაშინებსო.

ახლა რატომ არ მეპატიჟები შენ სიზმრებში, მურიანი ბიჭები აღარ გაშინებენ და აღარ გჭირდები, მზეთუნახავების სეზონი დაგიდგა, არა?

ცალი თვალით მაინც შემხედე, იმ ზღაპრების მზეთუნახავები ხომ არ გაფორიაქებენ, მე რომ ძილისწინ სახელდახელოდ გითხზავდი ხოლმე:

„იყო და არა იყო რა, იყო ერთი ბიჭი"...

„მერე?"

„ჰო, შენ... ჩაყავი ხელი, თორემ აღარ მოგიყვები"...

იქნებ გგონია ზღაპრების დრო დამთავრდა!

ვიდრე ამქვეყნად მზეთუნახავები და მზეჭაბუკები არიან, ზღაპრის ხურჯინს თუ არ მიემატება, არა დააკლდება რა.

ჩვენი ოცნების კოშკები ხომ, ჯერჯერობით, იმ საზღაპრეთში დგანან მყარად, ხელშეუხებლად და რაც მთავარია, სამართლიანობა მხოლოდ იქ იმარჯვებს, იქ შეიძლება ობოლ, უპოვარ ბიჭს მხარზე ბედნიერების მტრედი დააფრინდეს.

გახსოვს?

„სადაური ხარ, მზეჭაბუკო!"

„მე ერთი პატარა, დაჩაგრული ქვეყნის შვილი ვარ".

„ვინ მეფობს ახლა შენ ქვეყანაში?"

„არავინ... ჩემ ქვეყანას ბოროტი კაცუნები და კარისკაცუნები მართავენ!"

„ხედავ, მტრედმა შენ აგირჩია ამ ქვეყნის უფლისწულად... დარჩი, შეირთე გარდაცვლილი ხელმწიფის ასული და იცხოვრე ბედნიერად"...

„ვიდრე ჩემ ქვეყანას არ გავანთავისუფლებ, ბედნიერი ვერ ვიქნები", — მტკიცედ თქვა ბიჭმა და უცებ მის წინ ორი ცრემლის წვეთი დაეცა.

მიწამ წვეთები შეიშრო თუ არა, მაშინვე ორი ცისთვალა ამოიზარდა.

განცვიფრებულმა მაღლა აიხედა და, როგორ გგონია, ვინ დაინახა?"

„მზეთუნახავი!" — მპასუხობ შენ.

„კოშკიდან მომზირალი, მწუხარე მზეთუნახავი, — დავაზუსტე მე, — მეფის ასული ბიჭს უხმოდ, თვალებით ეხვეწებოდა, ნუ წახვალო, თუ წახვალ, ეგ ყვავილები მაინც წაიღე და უბით ატარეო".

„ბიჭი მაინც წავიდა!" — ამოიოხრე.

„შენ არ წახვიდოდი?" — გეკითხები გამომცდელად.

„ის ბიჭი ხომ მე ვარ", — შემახსენე გაკვირვებულმა, ვითომ, რას ქვია არ წავიდოდიო.

„უი, სულ დამავიწყდა. — მაგრად, მაგრად გიხუტებ და გული ტანჯვით მეწურება, თითქოს მართლა სისხლისმღვრელ ბრძოლაში მიდიოდე, — სამ წელიწადში დავბრუნდებიო, დაუბარა ბიჭმა, რომელიც ყვავილებთან შეხებისთანავე მზეჭაბუკად იქცა...

სამჯერ მოვიდა შვიდმაისის ხუჭუჭა წვიმა, სამჯერ შემოსა თოვლით მწვერვალები, სამჯერ გასცვივდა ხეებს ფოთლები... დაილია მზეთუნახავი ლოდინით... სარკმლიდან მომზირალ გოგოს თვალების შუქი, ღამით ამაოდ ანათებდა სასახლისაკენ მომავალ გზას... მისი მხილველნი, ღმერთო, რა ლამაზიაო, იჩოქებდნენ და უნებურად პირჯვარს ისახავდნენ.

სასახლესთან ახლოს ერთი ბოროტზე ბოროტი დედაბერი ცხოვრობდა"...

„არ მინდა, ბოროტი დედაბერი!" — შემაწყვეტინე უცებ.

„უდედაბროდ ზღაპარი არ გამოვა", — გავჯიუტდი.

„მერე, მზეთუნახავი რომ მოწამლოს?"

„ნუ გეშინია, აქ არა ვარ, მგონი ისეთ დღეში ჩავაგდო, სულ გაყინვის დღე ვაწყევლინო".

კმაყოფილი გულიანად კუჭკუჭებ.

„ის დედაბერი გულთმისანიც იყო, იცოდა, როგორ ძალიან, ძალიან უყვარდა გოგოს ბიჭი და ეს უფრო ამწარებდა, ედგა ქვაბი და შხამიანი, შავი ყვავილებისაგან საწამლავს ხარშავდა...

კიდევ ერთი დღე მოსაღამოვდა...

ისევ წვიმდა.

ფეხაკრეფით დაიარებოდნენ გოგოს ცოდვით დანაღვლიანებული მსახურები, ყრუ, სუროშემხმარ კედლის გასწვრივ ჩარიგებული პირქუში მცველებიც კი ერთმანეთის მალულად ცრემლს იწმენდნენ.

მხოლოდ ბოროტი დედაბერი ხითხითებდა და საწამლავის ქვაბს თავს დასტრიალებდა.

მწუხრის ზარს ჩამოჰკრეს,

— ნაუ... ნაუუ... ნაუუუ... — სივრცეში კვამლივით დაიკარგა უხალისო წკრიალი.

წირვა დამთავრდა.

ხალხი ჯგუფ-ჯგუფად გამოიშალა, დაიცალა ეკლესია, მღვდელმაც წამოსვლა დააპირა, რომ მაღალ სანთლებმოპარპალე შანდლებს შორის დაჩოქილი, ცისფერმოსასხამიანი გოგო შენიშნა.

გოგოს შეტყუპებული ხელები ტუჩებთან მიეტანა და თავდახრილი გარინდებულიყო.

მღვდელი მიუახლოვდა, დაიხარა და ჰკითხა:

„პატარა ქალბატონო, თქვენ კი არ მიბრძანდებით?"

მეფის ასული შეკრთა, საფიქრალიდან გამოერკვა, ნელა ასწია თავი.

განცვიფრებულმა მღვდელმა გულზე ხელი იტაცა და უკან დაიწია — ასეთი ლამაზი თვალები არასოდეს არ ენახა.

„შენ ნამდვილი მზეთუნახავი ხარ!" — ამოილუღლუღა და ხომ არ მეჩვენებაო, ნიკაპზე თითი შეახო.

„ჰო, მზეთუნახავი ვარ", — ცისფერზე ცისფერი თვალები კიდევ უფრო დაუნაღვლიანდა.

„რა გქვია პატარა მზეთუნახავო ქალბატონო?"

„მე პატარა არა ვარ", — ნიკაპი სატირლად აუკანკალდა.

მღვდელს გაეღიმა.

„ბოდიში, მაგრამ დიდ მზეთუნახავებსაც ხომ ჰქვიათ სახელი?"

ეტყობა არ იცის, მზეთუნახავს სხვა სახელი რომ აღარ სჭირდებაო, გაიფიქრა და უცებ დანაღვლიანებული თვალები გაუბრწყინდა.

„ცისთვალას მეძახიან".

„მართლაც ცისთვალა ხარ, — ალტაცებით ჩაილაპარაკა მოხუცებულ-

# ლილი, პატარა ბიჭი



ბ-ს დაბადების დღისთვის

ვანო ჩხიკვაძე

მა და წამოაყენა, — ახლა მითხარი, რა გაგჭირვებია, ცისთვალა?“

„ცოდვილი ვარ, მამაო, — გოგომ მიიხედ-მოიხედა, სხვამაც ხომ არ გაიგონაო და დაამატა, — ძალიან ცოდვილი“...

„რას ამბობ!“ — გულწრფელად გაიოცა მღვდელმა.

„ჰო, ასეა... ოღონდ თქვენს გარ-და არავინ იცის“.

„აბა, მიამბე, რა შესცოდა პატარა ანგელოზმა“, — ძლივს შეიკავა სი-ცილი.

ცისთვალას „პატარა“ არ ესიამოვ-ნა, მაგრამ არ შეიმჩნია.

„სიცოცხლე მომბეზრდა, უნდა თავი მოვიკლა“...

„ოო, მართლა დიდი ცოდვის ჩა-დენა დაგიპირებია, შვილო ჩემო“, — მსხვილი, თეთრი წარბები შეჰყარა მღვდელმა.

„მაშ რა ვქნა, სამ წელიწადს მე-ლოდეო... გავიდა უკვე სამი წელი-წადი... დავილალე ლოდინით, ის კი არ ჩანს“...

„ბედნიერია, ვისაც შენ ელოდე-ბი“, — თმაზე ხელი გადაუსვა მო-ფერებით.

„ეგებ აღარ ვუყვარვარ“...

„როგორ შეიძლება შენ არ უყვარ-დე“...

„ვაითუ დაიღუპა ან სხვა შეირ-თო“...

„ცოცხალია და შენი ღალატი გულში არც გაუვლია... რამდენჯერ იდგა სიკვდილის პირისპირ, მაგრამ შენმა გახსენებამ გადაარჩინა“...

„და კიდევ, ყვავილებმა“...

„ყვავილებმა?“

„ჰო, ჩემ ცრემლებზე ამოსულმა ყვავილებმა, — აენთო ცისთვალა, მაგრამ, უცებ, ისევ მოიწყინა, — კეთილო მისანო, მაშ რატომ აგვია-ნებს?“

„სამშობლოს გაანთავისუფლებს და დაბრუნდება... რომ იცოდე, ისიც წუთებს ითვლის, შენი ყვავილები უბეში ცოცხლად უწყვია. მახვილს როცა ჩააგებს, ამოიღებს ყვავილებს უბიდან და შენს ამბავს ეკითხება“.

„ნეტავ რას ეუბნებიან?“ — შე-წუხდა მზეთუნახავი.

„გელოდებაო, სასიძოები თავს აბეზრებენ, მაგრამ მაინც შენ გელო-დებაო“.

„ღმერთო, რა კარგია“, — ხელზე საამბორებლად მიეტანა გოგო.

„აბა, წარმოიდგინე: ყვავილებმა შენი სიკვდილის ამბავი რომ მიუტა-ნონ, — ისევ შეყარა წარბები მღვდელმა, — ხომ პირველივე ბრძო-ლაში დაიღუპება“...

ის ღამე გოგომ კვლავ სარკმელ-თან გაატარა, მღვდელი კი დილამდე სენაკში მუხლმოყრილი ლოცულობ-და.

იცი, უფალს რას ევედრებოდა?

ღმერთო, ძლიერო, თუ გინდა ქვეყნიერება გადარჩეს, ბიჭისა და გოგოს სიყვარული გადაარჩინეო...

„მერე?“ — მეკითხები სულგანა-ბული.

გულთმისანი, მით უმეტეს ბორო-ტი, რის გულთმისანია თუ ვერ გა-იგო, ვის გულში რა ძევს.

„მაშ თავის მოკვლა გინდა, არა? მე დიდი სიამოვნებით მოგეხმარები... უყურე ამ ქოფაკს, — გაბრაზდა მღვდელზე, — არ გადააფიქრებინა?.. დამაცადეთ! — შხამის ქვაბს უფრო მონდომებით შეუნთო ცეცხლი...

დალეწა ბიჭმა მტრის ბოლო სი-მაგრე.

დაღლილი, მაგრამ ბედნიერი მხე-ჭაბუკი ხალხმა ხელში აიტაცა.

„იჩქარე, მზეთუნახავის სიცოცხლე საფრთხეშია!“ — შემოკვნესეს უბი-დან ყვავილებმა.

ისევ მოახტა ცხენს.

ჩქარობს დედაბერიც, დაამატებს ცეცხლს შეშას, შემოურბენს ათუხ-თუხებულ ქვაბს, მუხლისკვერებზე დაცემული დაადებს ყურს მიწას და

ესმის, როგორ ახლოვდება ცხენის ფეხის ხმა.

საწამლავი რომ დამზადდა, პატარა ქილაში გადმოასხა და სასახლისაკენ გაიქცა.

„მზეთუნახავს მოწყენა რომ არ უხდება? მე დარდის მკურნალი ვარ, — უთხრა სარკმელთან მდგარ გოგოს და ქილა დაანახვა, — სულ რამდენიმე წვეთია საკმარისი, რომ ნაღველი გადაიყაროს“.

„ახლავე მსახურს ჩამოვგზავნი“, — გაუხარდა მზეთუნახავს.

უკვე პირთან მიჰქონდა საწამლავი, მზექაბუკი გალავანს რომ გადმოაფრინდა.

გოგოს ქილა გაუვარდა და დედაბერის წინ დაიმსხვრა.

„მაინც დამასწრო, მაინც მაჯობა“, — თმას იგლეჯდა გამწარებული.

უცებ ისე დაიჭექა, ისე დაიგრუხუნა, რომ ყველა გარეთ გამოვარდა, რა მოხდაო. თურმე ჯავრისაგან გასიებული დედაბერი გამსკდარიყო...

მზეთუნახავი სასახლის კიბეზე ხელში აყვანილი ჩამოატარა მზექაბუკმა.

ბედნიერების ცრემლს ღვრიდა გოგო და იქაურობა სულ ცისთვალებით იფინებოდა.

ტიროდა ყველა, ვისაც სხვისი სიყვარულით გახარება შეეძლო და შენ წარმოიდგინე, სასახლის პირქუში მცველებიც კი გულაჩუყებულები სლუკუნებდნენ“...

●

გუშინ!

მხოლოდ ჩვენი კი არა, მთელი სამყაროს წარსულია მოთავსებული ამ ერთ სიტყვაში.

ყველაფერი გუშინ იყო, დედამიწის სიყმაწვილეც და ჩვენი პატარაობაც. ქვიშაში ჩამჯდარი ბავშვივით გუშინ აშენებდა ახალგაზრდა მსოფლიო ზღაპრული სილამაზის ციხე-კოშკებს, სასახლეებს, სადაც დიდ, თაღოვან დარბაზებში წყნარად იწვოდნენ სანთლები, გუგუნებდნენ ბუხრები, ფეხაკრეფით დაიარებოდნენ ყურადღებიანი, სმენაგამახვილებული მსახურები და სარკმელთან, ლამაზ თითებში აცეკვებული ყაისნაღი მოწყენას ქარგავდა.

რა თქმა უნდა, იქვე, დაფენილ ტყავზე გაზანტებული, ყურებჩამოყრილი, სითბოთი განებივრებული მწევარიც იწვა.

ყველა თაობას ერთი მზეთუნახავი გვიყვარდა, ერთი კოშკის განათებულ სარკმელს მივჩერებოდით, ერთ სამიჯნურო ბარათს ვთხზავდით და ვკითხულობდით...

შენც იმ სარკმელს შეჰყურებ! იმიტომ აღარ მეპატიჟები შენ სიზმრებში... შენ ხომ უკვე დიდი ხარ! ...ალბათ, ვიღაც შენზე მოწყენას ქარგავს, გულისყურს სტაცებს სარკმელზე ხელუკულმა შემოყრილი მსხვილი წვეთების ხმაური და მუხლებზე პირქვეჩამხობილ სამიჯნურო რომანის ყდაზე მონატრებულის ცრემლი წვეთავს... ამ ცრემლებზე ცისთვალები ამოდიან, მრავლდებიან...

ან იქნებ სულაც ზამთრის საღამოა, ქვეყანა რბილ, ფაფუკ თოვლზე ნაბადამოკრული ცხენივით დაიარება და სარკმელს მომდგარი სევდიანი თვალები თითქოს ჩურჩულებენ: „მე მიყვარს ზამთარში სიჩუმის სტუმრობა“...

მითუმეტეს, როცა ამ სიჩუმეს ყრუ კომპოზიტორის „მთვარის სონატა“ მოაცილებს, სიჩუმე და მელოდია ერთად ეფინებიან კედლებს, ძველებურ ნოხებს, საყვავილეში ჩამხმარ ნეკერჩხალის წითლად დაღუებულ ტოტებს, მლოცველივით ტუჩებთან ხელებმიტანილ გოგოს და ბოლოს, ორივე გოგოს მომლოდინე გულში მტანჯველ ნეტარებად გუბდება.

აი, ახლაც ვუსმენ და ვფიქრობ, ნუთუ ესეც ადამიანმა შექმნა, რომელსაც ყველაზე მეტად სტანჯავდა სიჩუმე... სიჩუმე, დამთრგუნველი, შემაწუხებელი... ალბათ, არ უყვარდა „სიჩუმის სტუმრობა“... სამაგიეროდ ყველაზე მძაფრად გრძნობდა მთვარისათვის სახემიპყრობილ, უსინათლო გოგოს გულისჩამგლეჯ ვედრებას, უმწეო ტუჩების სასოწარკვეთილ რხევას...

ჩემო ბიჭო, გახსოვდეს, რომ მიჯნურის სარკმლიდან მხოლოდ ბედით და სილამაზით განებივრებული მზეთუნახავები არ იყურებიან!

ყრუ კომპოზიტორმა მათ გამო ჩაუდგა სიჩუმეს სული!..

მოუსმინე და თავად იგრძნობ მელოდიად ქცეულ ღვთაებრივ ტანჯვას!..

„მე მიყვარს ზამთარში“...

მიწაზე კი არა, თითქოს კლავიშებზე მივაბიჯებ.

თითოეული ფოთოლი ჯადოქარი ბგერაა, ძირს დაცემამდე რომ ხმიანობს...

შშშრრრ... სიჩუმე.

შშშრრრ... სიჩუმე.

შრრ... შრრ... შრრ... ვიღაც გარბის.

ტოტზე ნაძვის ხის სათამაშოსავით უძრავად ზის ციყვი.

ქვეყნიერებას გაბეზრებული ყვავი დაჰყეფს... ალბათ, ძალიან ბებერი და სვეგამწარებული, ამ გახუნებული, ხაოშლილი ფერდობებით გაბეზრებული, უძრავად დაჟუდებული ხეების შემყურე.

გვიანი შემოდგომაა, ყველგან მომაკვდავი ფოთოლი კვნესის და ვგრძნობ ზურგსუკან ადევნებული ზამთრის სუნთქვას.

აგერ, გადამხმარ ნაყამირალზე ერთი ილლია ჩაშვებულ-გაფიჩხული ნამჯა ყრია.

დავიჩოქებ, ნამჯას ფრთხილად გადავწევ, ისე, როგორც ქვევრს მომდგარი ბრკე და ჭაჭა მოაცილო, გადავწევ და სიმწვანე ამოანათებს, ამოშუქდება, როგორც ობლის იმედი გაუხარელ წუთისოფელში.

ამოშუქდება და ისევ ნამჯას წავაფარებ, რომ კვალში ჩამდგარმა ზამთარმა არ მიაგნოს.

მუხლისთავებს ვიფერთხავ, მოვდივარ და კმაყოფილი ვფიქრობ, ეტყობა ვერ შემჭამა დიდმა ქალაქმა, ვერ მაქცია მოღავებული ნაგვის ბეღურად-მეთქი.

მე საბძლისა და მიტოვებულ, გაბზარულ კედლებში ბუდეჩაფენილ ფრინველად დავრჩი.

მაშინაც კი, როცა დანა-ჩანგლის წკარუნში, სარკესავით პარკეტზე დახვეწილი მაღალფარდოვნება დაგოგმანობს, ჩემი სული აქაურობას დაჰკანკალებს...

გვიანი შემოდგომაა, შემპარავად ძვალ-რბილში ჯდება მუქარით გადმომდგარი ზამთრის სუსხი... ხელისგულისოდენა სიმწვანე კი ნამჯაშია გახვეულ-მიმალული, როგორც დამპყრობელს გამორიდებული, პატარა, ძუძუთა უფლისწული.

ახლა ამ გზის გლახასავით აძაგძაგებულ ნარ-ეკალს დამიხედე? რამდენჯერ სახე წამომიკვრია, ღონიერი მოქნევით გადამისხეპავს... ხო სული ამოსდის, არა, ხო გაყვითლებულა და გამომშრალა, ხო ქარს უკვდება ხელებში, მაინც იკბინება, მახათივით ეკლები თითებში მიძვრებიან... რაც ამათგან სიმწარე მახსოვს...

იქნებ იმიტომ იკბინებოდნენ, რომ თავს იცავდნენ? გამევლო ჩემთვის, ვინ იყო ხმის გამცემი! არა, უნდა მოვხტომოდი გაალმასებული, სახრის შხუილით დავრეოდი... ამიტომაც მქონდა წვივები და ქუსლები დაგაზული...

ეჰ, სადღაა ის ტკბილ-ტკბილი ეკლები! — ამოვიოხრებ და ხასიათზე რომ იყო, ახარხარდები, ეკლის სიტკბო ვინ გაიგონაო!

არ გაუგონიათ და ახლა გაიგონონ!

ადამიანი ზოგჯერ წლებით — ჰრელა-ჰრულა, სიხარულის და მწუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარების ნაირ-ნაირი ბაფთებით შემკულ ნატვრისხეს მაგონებს, რაც მიართვეს, ყველაფერი ტანზე რომ აიხორხლა, მაგრამ მაინც რომ ვერ ფარავს თავის სიშიშვლეს და სიღარიბეს.

ადამიანი შიშველი მოდის და შიშველი მიდის.

მიდის და უწმინდესი ხატება მიაცილებს.

შევცვალოთ ფირფიტა!

ჩვენ ხომ ამაოებაზე თავის სამტვრევად არ დავმსხდარვართ.

მე ხომ არ მითქვამს, როგორ აფორიაქდა ერთ მშვენიერ დღეს ჩემი სიზმრები.

თვალებში ნაღველჩამდგარი გამოვეთხოვე ნარ-ეკალის მსხეპავ ბიჭს.

ოჰ. მზეთუნახავის თავმოსაწონებლად გადავარცხნილო, ჯიუტო ქოჩორო!

თოვლიანი ამინდია გარეთ,
შენზე დარდი ამიცრემლებს
თვალებს...

ვწერდი უწყინარ სისულელეებს, ახლა ასე სასიამოვნო და ტკბილ წუთებს რომ მახსენებენ.

რატომ გეღიმება? გაინტერესებს, თვალებს ვინ მიცრემლებდა, არა?

ჰოო!.. უნდა მოგახსენო, რომა, არც ისეთი თხელნაჭუჭა კაკალი გახლავარ, უცებ გამომტეხო... იყო, რა, ერთი, ჩემი გულის „დამწველი“, იმ პატარა ქალაქში, მთელ საქართველოში, მთელ სამყაროში...

მივდიოდით ხელჩაკიდებულები და ვიცოდი, რომ ვიღაც ლოცულობდა ჩვენი სიყვარულის გადასარჩენად.

ულმობელი საუკუნე ისევ ბოროტი დედაბერივით ადუღებს საწამლავს.

მოიწყინეს მზეთუნახავებმა და მზეჭაბუკებმა.

მაშ, ჩვენც ვილოცოთ, რადგანაც მჯერა, დაღლილი, იმედგაცრუებული მსოფლიო კვლავ ჩაიმუხლებს დანგრეული კოშკების ასაშენებლად და ყურს მიუგდებს გათენების ხანს ფოთლების თრთოლას, ხანდახან ახლად გაღვიძებული ჩიტების სტვენა რომ გაერევა.

რა თქმა უნდა, მზეთუნახავის ცრემლზე ისევ ამოვა ბედნიერების მომტანი ყვავილი.

1990



ეროვნული
ბიბლიოთეკა

## იმირ მამედლი



## ქარიანი ღამეები

გარეთ ქარია და ქარს შორეულ პლანეტებიდან
შენზე ფიქრები მოაქვს ფანჯრებთან
და სათითაოდ იცლის თმებიდან...
და კვლავ ბრუნდება იმ პლანეტაზე.
მთელ ღამეს ასე...
...შენ ავად იყავ, მე რომ დაგტოვე.
ამ წუთში ისევ გემშვიდობები და მარტოს გტოვებ.
შენ რაღაცის თქმა გწადის იქნება?!.
და შენ მიყურებ სევდიანად
და შენ იცი, რომ ხვალ მთელი ღამე ქარი იქნება...
...უცებ შენ თმები გეწეწებიან
და მიხვევიან ყელზე მკლავებად —
არ წახვიდეო, მაგრამ ამას ჩვენ ვერა ვხედავთ.
უკვე ვქცეულვართ მდუმარ ამბებად.
თუმც ტანი გიგრძნობს, ხვალ მთელი ღამე ქარი იქნება...
შენ მხოლოდ ჩემთვის კიდევ და კიდევ
ხარ ოქროსფერი მეუდრო გვირაბი,
რომლითაც უნდა ღმერთთან მივიდე.
მე მაინც მივალ, იყოს იგი რაგინდაც შორი.
ხარ ერთადერთი გზა ოდითგან ღმერთს და ჩემს შორის.
...და შენ იცი, რომ ხვალ მთელი ღამე ქარი იქნება...
გარეთ ქარია...

* *

ოდნავ მოხრილი ვზივარ ბუხრის წინ
და ვუსმენ ქარის მქროლავ ვაგონებს...
ჩემს წინ მდუმარედ დგას ჩემი ჩრდილი
და ჩემი ჩრდილი შენს თავს მაგონებს,
როდესაც დგახარ ჩემს წინ მდუმარედ
და ამ დუმილით ჩემს თავს მაგონებ.
მიგრიალებენ, თუმცა კი ბნელა,
თურმე მიდიან აღმოსავლეთში
დასავლეთს ჩასულ მზის საძებნელად.
...და მე ვუყურებ კედელზე ჩემს ჩრდილს
...და ვუსმენ ქარის მქროლავ ვაგონებს.



* *

მთელი ღამეა ბორიალობს ჩარდახში ქარი
გზადაკარგულ და შეცდომით მოსულ ჭოტივით,
ეძებს გასასვლელს, რომელიც იქ აღარსად არის
და სახურავზე ფრთის წვერებს იმტვრევს.
...დაბლა ლუმელი ქვანახშირმა მთელი ღამეა
გულზე გახეთქა.
უბრალოდაც რომ ქუდი მოხადო, დიდი რამეა?!
გაგიჟებული ცეცხლზე ტრიალებს,
უცებ სისხლიან ცეცხლზე მეტად გავარვარებულ
ნახშირის კბილებს დაგიღრჭიალებს.
და გემუქრება ისეთ მუქარით,
რომელსაც იგი არასოდეს არ აგისრულებს...
შავი კრუხივით გადააფარა ღამემ ფრთები თავისიანებს...
ჭრაქიდან ოდნავ ამოუყვია ალს ენის წვერი.
ამხელა ღამეს ალიზიანებს
ფეხებთან კატა ჭრაქის ხათრით კრუტუნებს თითქოს...
მე ვწევარ მარტო, ყველაფრის მოწმე და შენზე ვფიქრობ,
შენზე, რომელიც ამ ყველაფერს ვერ ხედავ თუმცა,
კარგად იცი, რომ ასე ხდება
ზამთარში, ღამით, როცა ქარია,
როცა მარტო ვარ და შენზე ვფიქრობ.
შენ უნდა ჩვენთან მოხვიდე ხვალე,
ან უფრო მალე
და შეარიგო ჭრაქი და ღამე,
და შეარიგო ლუმელი ნახშირს,
რომ ცოტა სითბო ჩაბუდდეს სახლში.
და გამოუშვა ჩარდახში უცებ მოხვედრილი
გზადაკარგული ღამის ფრინველი
და მეც უნდა მიშველო რამე..
სუყველა გელით
შენ უნდა ჩვენთან მოხვიდე ხვალე,
ან უფრო მალე

* *

ამოუყვია ალს ჭრაქიდან პატარა ენა
და ღამეს ლოკავს...
და ჭრაქი მთვარეს უცაცუნებს
ლოყაზე ლოყას.
ეს ხელს არ აძლევს ღამის ნაბდის ქვეშ
ჩუმი ვნებით შეყუყულ გოგოს...
ალი კი ცდილობს,
უნდა დილამდე მთლად მოლიოს,
უნდა მოლოკოს.
დღესაც დაღამდა ჩვეულებრივ გუშინდელივით
და არაფერი არ შეცვლილა ვით გუშინ დღესაც,
გარდა იმისა, რომ კიდევ ერთი ფოთოლი მოწყდა
ხეს, სიცოცხლის ხე ჰქვია რომელსაც.
მე კი ამ წუთში ვერა ვგრძნობ რამეს.
ღამემ თავისი ხელი გადამაფარა დაღლილ თვალებზე
და ხელის გულზე შენ ახატიხარ ამ რიგით ღამეს.
მკერდზე კი შენი გულის ოცნება, ღიმილი სახის,
ფეხის გულებზე მთვლემარე გზები,
გზებზე კი ჩემი ნატერფალები,
როგორც თვალები,
უამრავი,
შენ რომ გეძებენ ყველგან, ყოველთვის...
ღამე თანდათან ძლიერ მაჭერს შავ ხელს თვალებზე,
ვით ძილის სალტეს,
რომ სხვა ნახატი ვერ დავინახო
ხელზე დახატულ გოგონას გარდა.
...დღესაც დაღამდა გუშინდელივით
თუმც მეტად ბნელა,
იმ ხეს გავყურებ და მეშინია
მწვანე ფოთლები არ დავითვალო მოულოდნელად..

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავგანწირვა

გამომცემლობა „სამშობლო“ წელს დასტამბავს საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის, პოეტ ნანა ღვინეფაძის წიგნს „შარავანდედი“, რომელიც მოგვითხრობს 1921 წლის თებერვალში რუსეთის მიერ თავისუფალი საქართველოს დაპყრობის დროს ტაბახმელა-კოჯრის ფრონტზე თბილისის დასაცავად გამართულ ბრძოლაში სათნოების დად წასულ უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მეორეკურსელი სტუდენტის, 19 წლის მარო მაყაშვილის დაღუპვის გარემოებაზე. ამ უთანასწორო ბრძოლაში ბევრი ქართველი ვაჟკაცი დაიღუპა. მათთან ერთად დაეცა ბრძოლის ველზე პოეტ კოტე მაყაშვილის უფროსი ასულიც, რის შესახებაც მწუხარებით იუწყებოდნენ მაშინდელი გაზეთები „საქართველო“ „საქართველოს რესპუბლიკა“, „ერთობა“), თანაუგრძნობდნენ ოჯახს და გულწრფელად ასხამდნენ ხოტბას გმირ ქალწულს.

1921 წლის 23 თებერვალს ქართველმა ხალხმა დიდი პატივით მიაბარა დაღუპულ იუნკერთა და მარო მაყაშვილის ნეშტი თბილისის მიწას, — სამხედრო ტაძრის გალავანში გაიჭრა საძმო საფლავი. მარო მაყაშვილი კი დაკრძალეს შესასვლელთან ახლოს, გალავნის კუთხეში, რათა პროსპექტზე გამვლელ-გამომვლელთ თვალი ეცათ ხოლმე და ყვავილები არ მოეკლოთ საფლავისათვის.



**ნანა ღვინეფაძე**

...შეებრძოლება მტერს, უკანასკნელ
წვეთამდე
შეებრძოლება და ან სიკვდილი, ან
გამარჯვება,
აი დევიზი ქართველი ერის!“

**მარო მაყაშვილის დღიურიდან**



...**ჟამთა** სვლამ ბევრი რამ წაშალა... წაშალა მარო მაყაშვილის საფლავიც რუსთაველის პროსპექტზე, მაგრამ ხსოვნა კი ვერა!

დღეს მის ნასაფლავარზე წყვილად გაზრდილი ნაძვი მარადიული ხსოვნის სიმბოლოდაც მესახება, მეტადრე იმ უმძიმესი ბატალიების შემდეგ, რაც თავს დაატყდა ჩვენს ხალხს და დედაქალაქს დეკემბერ-იანვარში. წმინდა საფლავი ხომ ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში შეეწირა სამხედრო ტაძრის ნგრევას (იმ ადგილზე ახლადაგებულ მთავრობის სასახლის ქვეშ კი მოექცა მამაც იუნკერთა სამძვლე).

... მშობლებთან — თამარ გაბაშვილთან და კოტე მაყაშვილთან, დაძმასთან და ახლობლებთან ერთად მთელმა მოწინავე ქართველობამ დაიტირა ახალგაზრდა ქართველი ქალი, რომელმაც თავი ანაცვალა სამშობლოს თავისუფლებას.

მე არ გიცნობ ამორძალო,
სწორო თამარის,
მაქვს სანანებლად თქვენი სახის
უნახველობა,
მაგრამ ამბობენ, რაფაელის
უნდა ხელობა
თქვენს წმინდა სახეს, დღეს რომ ფარავს
ვარდი სამარის...

...რაფაელის უნდა ხელობაო... მახსენდება ისევ და ისევ მარო მაყაშვილისადმი მიძღვნილი რაჟდენ გვეტაძის სონეტი — „ტირილი პროსპექტზე მთვარიან ღამეში“, იგი 1921 წლის გაზაფხულზევე წაუკითხავს ავტორს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაგადატანილ თბილისში ოპერის თეატრში გამართულ იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებით საღამოზე და მისი ხმა გაისმა, როგორც გოდება ერთ-ერთი გულდამწვარი ჭირისუფლისა.

დიახ, არც ერთ პოეტს და ხელოვანს არ ეფინა გულზე ვარდი, თუმცა ვარდობისთვე უკვე კარზე მომდგარიყო...

— ეს საღამოც დემონსტრაციებით იყო სავსეო, — იგონებს თებერვლის იმ ტრაგიკულ დღეთა უშუალო მომსწრე და მონაწილე, აწ განსვენებული ხელოვანი ქალი მარიამ აბრამიშვილი, ვისთვისაც წმინდათა-წმინდა გახლდათ მარო მაყაშვილის სახელი. იგი აღწერს უკვე გასაბჭოებული საქართველოს პირველ გაზაფხულს. როცა თავისუფლებადაკარგულ ქვეყანაში ორაზროვნად აღიქმებოდა სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატი“, როდესაც ფილიპე მახარაძის ბრძანებით საოპერო თეატრის სახელდახელოდ გადაღებულ ფარდაზე რამპის შუქმა მაინც გამოამჟღავნა უწინდელი დიდებული ხატი შუბოსანი წმინდა გიორგისა, რომლის გამოსახულებაც ასერიგად უგმირავდა გულს ქართველ ბოლშევიკებს, როგორც სიმბოლო მათგან გაყიდული საქართველოსი.

...„ჩვენ აღვადგინეთ საქართველო, მაშ აღვადგინოთ მისი სიმბოლური სახეც — თეთრი გიორგი!“ — ეს განუცხადებია ქართულ ჰერალდიკაზე წარმოთქმულ სიტყვაში პოეტ კოტე მაყაშვილს. — ახლა კი აღარც თავისუფალი საქართველო იყო, აღარც წმინდა გიორგის გერბი. აღარც მისი მშვენიერი მარო, რომელსაც ვეღარც წარმოედგინა სხვა საქართველოში ცხოვრება...

— მეორმოცე დღეს მაროს საფლავზე დიდძალ ხალხს მოეყარა თავი. უმეტესობა, ცხადია, ის გულდაკოდილი მამულიშვილები ყოფილან, ვისთვისაც საქართველოს გასაბჭოება მის დასამარებას უდრიდა. მათ შორის იყვნენ ჩემი მეგობრის — ცოტნეს მამა სამსონ დადიანი და შალვა ნუცუბიძე, — მიამბო აკადემიკოსმა შალვა ხიდაშელმა.

პოეტ იოსებ მჭედლიშვილს სიტყვის მერე ლექსი რომ წამოუწყია, ჩოჩქოლი ატეხილა. მაროს ხსოვნის პატივსაცემად მოსული ხალხი დაურბევიათ, ბევრი დაუჭერიათ, მათ შორის დადიანიც, რომელიც შემდეგ ძლივს დაუხსნია შალვა ნუცუბიძეს.

იოსებ მჭედლიშვილს კი დროზე უშველია თავისთვის, გაქცეულა, — ვხედავდი, ჩიტაძის ქუჩაზე ალმართში როგორ გარბოდაო, — უთქვამს სამსონ დადიანს.

რა თქვა ასეთი იოსებ მჭედლიშვილმა, რომ სიტყვა ზედ პირზე შეაცივეს?

**ჩემთა საყვარელ ძმათა გვამებზე**
**ჰოტენტოტივით დავებოტები,**
**აღარც მთვარე სჩანს, არც ვარსკვლავები,**
**მხოლოდ ჭყივიან ბუ და ჭოტები.**

...ამ სტრიქონების ავტორს, ცხადია, არ მოეფერებოდნენ, მაგრამ იოსებ მჭედლიშვილი არც ოპერის თეატრში გამართულ ხსენებულ საღამოზე მორიდებია ახალ ხელისუფლებას, რომელსაც თვით საღამოს გმირმა, იოსებ გრიშაშვილმა ესროლა თავიდანვე ხელთათმანი, პირი იბრუნა თურმე მთავრობის ლოჟისკენ, სადაც ისხდნენ ქართველი ბოლშევიკები და მიახალა: „ისტორია არ შეგარჩენთ, რომ სხვის ხიშტით შემოხვედითო„...

ასეც მოხდა... მაგრამ 70 წლის შემდეგ! და ამ სამოცდაათი წლის განმავლობაში საქართველოში დაავიწყდათ (დაავიწყეს) 26 მაისი, დღე დამოუკიდებლობის გამოცხადებისა — 1918 წელს რომ ეღირსა, თავისუფლებადანატრებულ ქართველობას! მხოლოდ უცხოეთში გადახვეწილი ოკუპირებული ქვეყნის შვილები ზეიმობდნენ ყოველწლიურად ამ სანუკვარ დღეს.

...და აქ კვლავ მინდა ჩავიხედო მაყაშვილის საოცარ დღიურში, რათა კიდევ ერთხელ განვიცადო მისებურად ის მამულიშვილური სიამაყე, რაც დაეუფლა თავადის ასულს, რომლის რწმენითაც ქართველი ხალხი არავის დაანებებს თავის სამშობლოს, რადგან სამშობლოსადმი სიყვარული უდიდესია, სხვა ყველა გრძნობებზე მაღლა სდგას.

ამ სტრიქონებს კი მოსდევს დამოუკიდებელი საქართველოს პირველი წლისთავის ხატოვანი აღწერა:

„დაგვიანებული დღე 26 მაისი. 1919 წელი. საქართველოს თავისუფლების წლის გამოცხადება.

დღე თითქოს თანაუგრძნობდა ზეიმს. დილიდან საღამომდის მზე ასაჩუქრებდა დედამიწას თავისი სხივმოსილი სხივებით. ქართველი ერი ბედნიერი იყო და ღმერთიც. მზის გარშემო რამდენიმე საათის განმავლობაში ცისარტყელა იყო“.

მამულიშვილური გრძნობა, თავისუფლებისადმი სწრაფვა, სურათოვანი ენა მას განსაკუთრებით აახლოებს ბებიასთან — ეკატერინე გაბაშვილთან, რომელსაც გამორჩეულად ყვარებია უფროსი შვილიშვილი.

შვილიშვილთან სიყვარულიანი გაბაასება შემოუნახავს ღია ბარათს, რომელზეც გამოსახულია გოგონა, მინდორში რომ ზის ძაღლთან ერთად და საქონელს მწყემსავს.

„ძვირფასო მაროჯან! მაპატიე გენაცვალე, რომ სააღდგომოდ ვერც გნახე, ვერც მოგილოცე და ვერც გაჩუქე რამ. ხანდახან შენ ბებრუცანა ბებიას რაღაც სიზარმაცე და გულმავიწყობა შეიპყრობს ხოლმე. გულით ვწუხვარ, რომ ამ დღესასწაულებში დამწყვრეული ხარ, მაგრამ რა გაეწყობა, ბავშვობას ათასი ავადმყოფობა სდევს. მადლობა ღმერთს, რომ კარგათა ხარ, მე აქობამდის ცხრაჯერ გნახავდი, მაგრამ რაღაც საშინელი სისუსტე მაქვს და გორაზე ამოსვლას ვერ ვბედავ. კარგათა ვგრძნობ შენს მარტოკობას, მოითმინე გენაცვალე, რომ მერე კარგა მყოფმა თავისუფლად ინავარდო. აბა ამ კარტფოსტალის ნახატი კარგად დაათვალიერე. რა ლამაზი და ჭკუით და დარბაისლობით სავსე გოგონაა, როგორ ასრულებს თავის მოვალეობას“.

ეს ბარათი ახლოდანვე, მოსკოვის ქუჩის კუთხიდან (რომელსაც ეკატერინე გაბაშვილის სიცოცხლეშივე ეწოდა მისი სახელი) არის გაგზავნილი იმ „გორაკზე“, სადაც სახლობდა კოტე მაყაშვილის ოჯახი და ახლა მისი სახელობის ქუჩაა.

...როგორ ეფერება და ებოდიშება უფროსი უმცროსს, როგორ ქარაგმულად მიანიშნებს მის სილამაზეს, გონიერებას და, რაც მთავარია, [illegible]ბაისლეს, ამხნევებს და მოთმინებას ურჩევს, რათა მერე თავისუფლად ინავარდოს!..

თითქოსდა ლიტერატურა და ხელოვნებაა მარო მაყაშვილის სამყარო, მაგრამ მისი ნაწერებიდანვე ჩანს სოფლის მეურნეობისადმი სერიოზული სწრაფვაც — სათანადო განათლების მისაღებად უცხოეთში გამგზავრება თავის განუყრელ მეგობართან ქეთო ჯაფარიძესთან ერთად: „მე ვისწავლი მეურნეობას, ქეთო სიმღერას“. უფრო პარიზისკენ მიუწევს გული, სადაც 9 წლისა წაიყვანა დედამ ძმასთან — შალვასთან და ნახევარი წელი დაჰყვეს.



ნატვრა ზმანებად ექცა: სწორედ ახალი ნაავადმყოფარია, დედასთან და უმცროს დასთან — კატუნასთან ერთად „ისპანკა“ გადაუტანია და სიცხიანს დასიზმრებია:

...ვითომ ქეთოსთან, ელიჩკა მგალობლიშვილთან და ტასო რამიშვილთან ერთად მიემგზავრება პარიზს. მეგობარი ვაჟები აცილებენ ყვავილებით და ტკბილეულით. „ძლივ-ძლივობით ჩავედით პარიზში. იქ იყვნენ სუსანა და მედეა (ექიმ ვახტანგ ღამბაშიძის ასულები, ნ. ღ), რომლებმაც ორი ოთახი დაგვიქირავეს. სადილობამდე პარიზი დავათვალიერეთ. ბევრი ალაგი მოვიგონე... ამისთანა სიზმარი შესანიშნავია, ნეტა ამისრულდეს...“

...სიზმარი სიზმრად დარჩა, ახდენა არ ეწერა...

მისი ჩანაწერები საინტერესოა არა მარტო იმ მხრივ, რომ საოცრად ხატავს ავტოპორტრეტს, თავის სული-

(გაგრძელება მე-16 გვერდზე)



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შენ, საქართველოს დედოფლობა დაგშვენდებოდა



რამდენი ლექსი და სიმღერა შექმნილა ქართველ ქალზე. გონიერი, ლამაზი ასულები საქართველოს ოდითგან მოსდგამს. ახლა მე მინდა ერთ მათგანზე ვისაუბრო, ორიოდე სიტყვა ვთქვა ლიანა ასათიანზე — ცნობილ კინომსახიობზე, შესანიშნავ დედაზე, მეუღლეზე, ხელოვანზე, გამორჩეულ პიროვნებაზე.

სასედაიეროდ, კინომატიანემ შემოგვინახა მისი ადრინდელი წლები, თუმცა ახლაც არ აკლია ესოდენ საამო ქალური მომხიბვლელობა.

სწორედ მისეულმა განსაკუთრებულმა იერ-სახემ მიიყვანა იგი კინოში — რეჟისორმა მიხეილ ჭიაურელმა მეშვიდე კლასელი ლიანა კინოფილმ „გიორგი სააკაძეში“ დიდი მოურავის დის, დედოფალ თეკლეს როლის შესასრულებლად მიიწვია.

კინოდებიუტიდან სამი წლის შემდეგ ამთავრებს საშუალო სკოლას და მუსიკალურ ათწლედს. სწავლას სამედიცინო ინსტიტუტში განაგრძობს. საინტერესოა, რა მოხდა მის გონება-ფსიქიკაში, რატომ არ შევიდა იგი კინოსტუდიაში, ან თეატრალურ ინსტიტუტში?.. ეს მით უფრო საკვირველია, რომ ნიჭიერ ახალგაზრდა მსახიობს პირველი წარმატებითი ნაბიჯები უკვე გადადგმული ჰქონდა.

— სურვილი, ვყოფილიყავი მსახიობი, სულ პატარაობიდანვე მიტაცებდა, — ეს ქალბატონ ლიანას სიტყვებია. — ვცხოვრობდი საოპერო თეატრის უკანა მხარეს და არ მახსოვს ისეთი დილის სპექტაკლი, რომელსაც არ დავსწრებოდი. შემდეგ კი, სახლში მოსული, ნანახისა და მოსმენილის გავლენით, მოვისხამდი ხოლმე სხვადასხვა წამოსასხამს. თავზე სამკაულს გავიკეთებდი და განვასახიერებდი ხან რას და ხან ვის. გარდა ამისა, ჩვენს სახლში ცხოვრობდა გამოჩენილი მომღერალი და პედაგოგი ოლღა ბახუტაშვილი-შულგინა, რომელთანაც გაკვეთილებსა და კონსულტაციებზე დადიოდა ოპერის თითქმის ყველა გამოჩენილი მომღერალი: მერი ნაკაშიძე, ეკატერინე სოხაძე, ნადეჟდა ცომაია, პეტრე ამირანაშვილი, დავით გამრეკელი... მათი დანახვა მნუსხავდა და მიზიდავდა, კიდევ უფრო მიღვივდებოდა ინტერესი ხელოვნებისადმი. კინოფილმ „გიორგი სააკაძეზე“ მუშაობისას კი უკვე დრამატული თეატრისა და კინომსახიობთა კორიფეებს შორის აღმოვჩნდი... ოცნების ასეთი ასრულება მხოლოდ ზღაპარში თუ მოხდება.

შემდეგ?.. შემდეგ რა მოხდა?.. რად გადაუხვია მის ნამდვილ, პატარაობიდანვე არჩეულ მისწრაფებას?..

ამაზე ხშირად უფიქრია ხოლმე. ეს, ალბათ, ომის უკიდურესად მძიმე მდგომარეობამაც გამოიწვია და კინომსახიობის მოუსვენარმა ცხოვრებამაც.

— და ამაში პირადად ვრწმუნდებოდი, — გრძელდება გაწყვეტილი საუბარი. — ვხედავდი, ისეთი ვარსკვლავები, როგორიც იყვნენ ნატო, დუდუხანა, თამარი, შურა და სხვანი, ჩიოდნენ უმუშევრობას, ჩიოდნენ და სრულიად სამართლიანადაც, რომ გადის დრო, მიდის ახალგაზრდული წლები და მომავალში სახარბიელო არაფერი ჩანს... ამას ემატებოდა ჩემი არამებრძოლი ხასიათიც, თავმოყვარე ბუნება, შიში „ვაითუ მეც ასეთ დღეში ჩავვარდე ან უარესშიც“... და ხმის ამომღები ხომ არასოდეს ვიქნები. ეს ყველაფერი ქვეშეცნეულად, თავისთავად მოქმედებდა. გარდა ამისა, ვგრძნობდი დიდ პასუხისმგებლობას, დიდ მოთხოვნილებებს ვუყენებდი საკუთარ თავს...

გავიდა ხანი. დრომ ყველაფერს თავ-თავისი ადგილი მიუჩინა. ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა და ლიანა ასათიანიც ბავშვობისდროინდელ ოცნებას, თავის ჭეშმარიტ მოწოდებას ასხამს ფრთებს — უბრუნდება კინოხელოვნებას, ქმნის არაერთ დასამახსოვრებელ მხატვრულ სახეს.

ატმის ყვავილსა ჰგავდა ლიანა თეკლეს როლში (კინოფილმი „გიორგი სააკაძე“). ასევე მშვენიერი იყო „ჭირვეულ მეზობლებსა“ თუ „ქრიჭინაში“, „დიდოსტატის მარჯვენასა“, „მწვერვალთა დამპყრობნსა“ და „ეთერის სიმღერაში“, მაყურებელს განა დაავიწყდება „გაზაფხული საკენში“, „თავადის ქალი მაია“, „მაცი ხვიტია“.

— ლიანა ასათიანი, ეს ნიშნავს ხორცშესხმულ მშვენებას, აფრენილ წარბებს, ოდნავ ირიბად აჭრილ თვალებს, მისი ხსენება გაზაფხულივით შემოდის სულში, — წერს პოეტი ნაზი კილასონია და მართლაც, ამ სახელის ხსენებაზე უმალ წარმოგვიდგება ჰარმონიული სილამაზე, ეშხი ცვრიანი, ლამაზების ჭეშმარიტი დედოფალი, მდიდარი შინაგანი კულტურისა და ერუდიციის პიროვნება, მაღალნიჭიერი ხელოვანი, რომლის მისამართით შეიძლება თამამად ითქვას: „შენ საქართველოს დედოფლობა დაგშვენდებოდა“... და, რომ „ლამაზ სხეულში ლამაზი სულია“...

მშვენიერ პიროვნებას, მომხიბლავსა და ჭეშმარიტ ქართველ ვაჟკაცს, სიკეთით სავსე მაღალნიჭიერ კომპოზიტორს დავით (გუგული) თორაძეს დაუკავშირა ქალბატონმა ლიანამ თავისი ბედი.

— ჩვენი პირველი შეხვედრა 1945 წელს მოხდა რეჟისორ შოთა მანაგაძის კინოფილმ „ჭირვეული მეზობლების“ გადაღების დროს. დრო მძიმე იყო, ნაომარ-გაპარტახებული ქვეყანა იარებს იშუშებდა. დავქორწინდით და შევუდექით ოჯახის შენებას. მცდელობითა და მონდომებით გვქონდა წყნარი და თბილი კუთხე, იგი გვმატებდა ძალ-ღონეს. ასე, ნელ-ნელა, ნისკარტით მოტანილი ულუფით ავკინძეთ ჩვენი ნავთსაყუდელი, რომ ჰქონოდა გუგულის მუშაობის პირობები, ხოლო ლექსოსა და ნინოს — ჩვენი თვალის ჩინებს, საშუალება, ყოფილიყვნენ ჯანმრთელნი, განათლებულნი, მოწინავენი, გამოჩენილი პიროვნებები.

დიახ, მართალს ამბობს ლიანა თავისი ოჯახის შესახებ. შესანიშნავ წყვილს მათსავით ლამაზი, ნიჭიერი შვილები შეეძინათ. ლექსო დღეს მსოფლიოში ცნობილი, უდიდესი მასშტაბის პიანისტია, თანამედროვეობის დიდი ხელოვანი, ნინო კი მუსიკისმცოდნე, რომელსაც არანაკლები პიანისტური მონაცემები ჰქონდა, მაგრამ მეხუთე კურსიდან მუსიკისმცოდნეობის ფაკულტეტზე გადავიდა. ლექსო ნინოს მუსიკის ყველაზე უშეცდომო შემფასებლად თვლის. თავისი კონცერტების შემდეგ თვალი სწორედ ნინოსკენ აქვს მიპყრობილი. ნინოც ფრთხილად ამხელს ხოლმე თავის სურვილებს, აღფრთოვანებას.

მართლაც შესანიშნავი ოჯახი ჰქონდათ ბატონ დავითსა და ქალბატონ ლიანას. მტერს რომ თვალს უვსებდა და მოყვრის გულს ახარებდა. ეჭვსგარეშეა, არაერთხელ გახდებოდა იგი მეუღლისათვის შთაგონების წყარო. კომპოზიტორის ლირიკულ სიმღერათა დიდი ნაწილი სწორედ მისადმია მიძღვნილი. გავიხსენოთ მისი ბრწყინვალე სიმღერა-რომანსები: „მოდი ჩემთან“, „შენზე ფიქრი“, „თბილისის ღამე“, „ქარი კვლავ არხევს“ და სხვა.

ქალბატონი ლიანა და ბატონი დავითი არაჩვეულებრივ გულისხმიერებას იჩენდნენ შვილების აღზრდაში. არანაკლებ ყურადღებას უთმობდნენ ბატონ დავითის სტუდენტებსაც, რომლებიც მათ ოჯახში არა მარტო პროფესიონალებად, პიროვნებებადაც ყალიბდებოდნენ. თორაძეების ოჯახი მათ საკუთარ ოჯახად მიაჩნდათ. ეს გრძნობა მათ დღემდე შემორჩათ — ბატონი დავითის გარდაცვალების შემდეგაც მეგობრობენ ლექსოსა და ნინოსთან, ქალბატონ ლიანასთან.

ყოველივე ამის მოწმე თავადაც ვარ. გუშინდელ დღესავით მახსოვს, როგორ დაჰხაროდნენ თავიანთ პირმშოებს, ზრუნავდნენ მათ აღზრდაზე, სტუდენტების პროფესიულ და პიროვნულ ჩამოყალიბებაზე. იმხანად ტელევიზიის საბავშვო გადაცემათა რედაქციაში ვმუშაობდი მუსიკალურ რედაქტორად (ლექსო მაშინ უკვე ცენტრალური მუსიკალური სკოლის მოსწავლე იყო) და ბუნებრივია, როგორც განსაკუთრებული მონაცემების ნორჩი პიანისტი, ხშირად გამომყავდა კონცერტებსა თუ თემატურ გადაცემებში. შეიძლება ითქვას, რომ ჩემს თვალწინ გაირბინა ლექსოსა და ნინოს ბავშვობისა და ყრმობის წლებმა, ლექსოს უზადო პროფესიონალად ჩამოყალიბების პროცესმა.

პირდაპირ უნდა ვთქვა, მეამაყება, რომ ასე ახლო ვიყავი თორაძეების საოცრად სტუმართმოყვარე ოჯახთან, ლექსოსთან, ნინოსთან, ქალბატონ ლიანასთან, ბატონ დავითთან... ამ უკანასკნელთან კიდევ უფრო მეტად დავახლოვდი შემოქმედებითად, მის შემოქმედებაზე დავიწყე მუშაობა. დღითიდღე ვრწმუნდებოდი მის დიდბუნებოვნებაში, განუმეორებელ ვაჟკაცურ თვისებებში.

— ოჯახი, მტერი და მოყვარე ჩემს საზრუნავს წარმოადგენდა. გუგული უმთავრესად შემოქმედებითი, პედაგოგიური თუ საზოგადოებრივი საქმიანობით იყო დატვირთული. მას შვილებთან არაჩვეულებრივად თბილი და ნაზი დამოკიდებულება ჰქონდა. შვილებს შენიშვნას იშვიათად აძლევდა. მოფერება-ქებაში ხედნიდა მათ. მათთან მამაშვილური დამოკიდებულების გარდა, წმინდა შემოქმედებითი საქმიანობაც აკავშირებდა. მოსწონდა, ამაყობდა მათით. ამიტომაც მძიმედ განიცადა ლექსოს ცხოვრების მოულოდნელი შემოტრიალება... „ლექსო, როგორც პროფესიონალი, შეურაცხყვეს და ვერ მოითმინა, დიდ არტისტს დიდი, თავისუფალი გზა სჭირდებოდაო“, — კი არ ამბობდა, სჩიოდა იგი.

ლიანა ასათიანი — დედა, მეუღლე, მეგობარი, ყოველთვის თავის სიმაღლეზეა. ასევეა იგი როგორც ხელოვანი, კინომსახიობი. მასში ჰარმონიულად, ბუნებრივადაა შერწყმულ-განზოგადებული ყველა დადებითი თვისება პროგრესულად მოაზროვნე მოქალაქისა თუ ხელოვანისა. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ თვალს გადავავლებთ მის მიერ განსხეულებულ პერსონაჟთა გალერეას. ამასთანავე, ვნახავთ, რომ ლირიკული გმირები საკმაოდ ჭარბობს მის შექმნილ სახეებში. ესენია თავმომწონე, მეოცნებე, გაზაფხულივით ლამაზი და მჩქეფარე კესო, თეკლე, მარინე...

დრამატული გარდასახვის ნიჭი კიდევ უფრო გამოიკვეთა კინოფილმში „თავადის ქალი მაია“. აქ მსახიობმა უაღრესად რთული ფსიქოლოგიური სახე გააცოცხლა. შეიძლება ითქვას, რომ ლეო ქიაჩელის ეს ბრწყინვალე ნოველა, სწორედ ლიანა ასათიანისთვისაა დაწერილი. საოცრად ბუნებრივად მოერგო იგი ამ მხატვრულ სახეს. დიდი დამაჯერებლობითა და გულწრფელობით გვიჩვენა სოციალური ძვრების მსხვერპლის — თავადის ქალის შინაგანი სამყარო, უბედურება, რომელიც თავს დაატეხა რევოლუციამ, გაუნადგურა სული და აუწეწა ცხოვრება. ასევე განადგურდა და დაიმსხვრა აურაცხელი სულიერი და მატერიალური ფასეულობანი, რამდენი შემოქმედი დაიღუპა.

შესანიშნავად ამბობს ამაზე თვითონ ლიანა ასათიანი — ეს საოცრად ჭკვიანი, შემოქმედი ქალი:

— დასავლეთის ქვეყნების რომელ სტუდიებს ჰყავდა ჩვენებრი ნატო, თამარი, მედეა?! მამაკაცებიდან კიდევ უფრო ბევრი დარჩა რამპის მიღმა!.. ჩანს, ასეთი ყოფილა ჩვენი თაობის ხვედრი, და სატკივარიც საერთოა და არა პირადული, ამიტომ არ ვაძლევ თავს უფლებას, ვიყო უკმაყოფილო ჩემი კინოკარიერით. ერთხელ მაინც ხომ მარგუნა ბედმა „თავადის ქალ მაიაში“ შევხვედროდი ნამდვილ გმირს, პერსონაჟს, რომელსაც თავიდან ბოლომდე ჰქონდა თავისი ბიოგრაფია, ამასთან ერთად, შევხვდი დაუვიწყარ შემოქმედებით ჯგუფს: რეჟისორ ლანა ღოღობერიძეს, ოპერატორ ლევან პაატაშვილს, მხატვარ კოკა იგნატოვს, კომპოზიტორ რევაზ ლაღიძეს, მშვენიერ მსახიობებს — ოთარ მეღვინეთუხუცესს, ციცინო ციციშვილს, გიული ჭოხონელიძეს...

დღესაც ჩვენი საყვარელი კინომსახიობი ლიანა ასათიანი ჭარბი შემოქმედებითი ენერგიითაა სავსე. რეჟისორმა რეზო ესაძემ თავის ახალ ფილმში („ჭერი“) ძალზე რთული და საინტერესო როლი შესთავაზა. და აი, ქალბატონი ლიანა, რეჟისორის სწორხედვებში დიდი ნდობით დაჯერებული, იმედიანად შეჰყურებს მომავალს.

**ეთერ ლონდარიძე,**
**ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯუმბერ ტიკარაძე

წიგნიდან:
„მცირე უმაწუროგანი“

# მკვლელნი

ამ მილიონერ დიაცს, რომლის სახელს არ გაგიმხელ და რომელიც ქმარშვილ-ნათესაობას გადაყოლილ-გადაჰკვდომია, ორი მანქანა უდგას საკუთარი სახლის სამოთხისდარ ეზოში, უცხოურ ავეჯსა თუ ოქროულობა-ბროლეულობას ნუღა იკითხავ და ყოველივე თავისი გარჯა-წამება-გამბედაობის ნაყოფია: ის სახლიც საკუთარი შრომით უგდია ხელთ, ოქრო-ბროლ-ავეჯიცა და მანქანებიც, ერთი თავის სახელზე რომ გაუფორმებია და მეორე ქმრისაზე, მესამე მსუბუქი ავტომობილის ყიდვაც უზის გუნებაში, მაგრამ ჯერ მთლად ნორჩია იმისი ერთადერთი ბიჭი...

ხოლო სახელს იმ გამრჯე დიაცისას იმიტომ არ გიმხელ, რომ უკეთურობა-არამზადობითა და ბოროტება-უწმინდურობით აკეთებს ფულს — აბორტმახერი ბრძანდება: მიაკითხავენ ხოლმე შინა უნარნარეს-ტანკენარ-დაზაფრული გოგონები და:

ოჰ, ჩემო მარგალიტო, შმაშურ-შმაშურ რომ ებნიდებოდი ბიჭს, ახლა ამ პატარა ტკივილისაც არ უნდა შეგეშინდეს, მარჯვე ხელი მაქვსო...

და:

მართლაც მარჯვედა ჰკუწავს საშოში ხვალინდელ ქართველობას, ვინ იცის და, ეგებ, ალმაშენებელ-თამარქალ-რუსთაველ-ქეთევან წამებულებადა თუ სააკაძე-ჯულაშვილებად ჩამოსაყალიბებელთ...

ერთხელაც მოსახდენი მოხდა, უმტყუნა მარჯვენამ: უკეკლუცეს-უნაზეს-მზისდარი გოგო მიაყენა კარს მთვარესავით ჭაბუკმა, ხოლო აბორტმახერის თვალს რას გამოაპარებდი, შეხედა თუ არა წყვილს, იაზრა უმალ — ბიჭი არ იყო გოგოს ცოლადშემრთველი და ის უბედურიც ყოველივეზე დაეთანხმებია, ისიც ცხადად შენიშნა, ექვსი თვის ფეხმძიმე იქნებოდა ქალი და სამშობიაროში რომ მიებედნა კიდეც, იქ ძნელად თუ გაიმეტებდნენ საბორტოდ და, აი, ამ მიზეზით კარგა გვარიანი თანხა დასტყუა ჯიბედატენილ ბიჭს, დედ-მამას რომ გაეზულუქ-გაეთავხედებია.

მერე კი, ეს საქმე რაღაი მოაგვარა, გოგოს მიმართა მოფერებითა და ენის ჩლექით, როგორც სჩვეოდა ხოლმე:

ჩემო ოქროვ და მარგალიტო, ბიჭი და დროსტარება რომ გიყვარდა, ახლა ამ პატარა ტკივილსაც გაუძელიო...

და:

იმ საბოროტმოქმედო ოთახში გაიყვანა: მჭიდროდ შემოტმასნილი ბანდაჟი რომ გაიძრო გოგომ, ამით უცხო თვალთაგან მალავდა ფეხმძიმობას და საოპერაციო მაგიდაზე გადაათხლაშვია ბარძაყები აბორტმახერმა, ექვსი თვის ბიჭმა თავისუფლება იგრძნო დედის საშოში, რაკი ბანდაჟი აღარა ბორკავდა და სიხარულისაგან შეკუნტრუშდა და შეკუნტრუშდა ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, ბარე ათიოდეჯერ თვალის დახამხამებაში, სინამდვილისა, აკუწვა რომ ელოდა და მზის ნათელს ვერ ეღირსებოდა, არა უწყოდა ალბათ ჯერ, თუმცა ვინ უწყის, ეგებ ყოველივე დიდებულად გაეგებოდა და ეგრე კუნტრუშ-კუნტრუშით ეთხოვებოდა სიცოცხლეს. აბორტმახერს ყურადღებაც არ მიუქცევია ამ სიკვდილისწინა კუნტრუშ-როკვისათვის, ასეთი ამბავი თვალისსასეირო რამ იყო იმისთვის, უფრო მეტიც, პური არსობისა და ჩვეულებისამებრ წამოიწყო საქმე დაარხეინებულ-იშტაზემომდგარმა: მარჯვე ხელი ჰქონდა მართლაც — უცებ ის კუნტრუში ახლდაკლული ქათმის ფართხალად აქცია, მაგრამ, რაც მერე მოხდა, იმგვარი ამბის მომსწრე არა ყოფილა არასდროს: ზარივით წკრიალა მაგრამ მკაწრავმა, შემზარავზე შემზარავმა, სულისშემძვრელ-სისხლისგამყინავ-გონისწამრთმევმა ხმამ ამოატანა საშოდან:

წყეულიმც იყავთო...

წყევლა საშოდანაც იფრქვეოდა ერთდროულად და ზეციდანაც მოიგრაგნებოდა:

წყეული იყავ, შენ, ექვს თვეზე მეტხანს რომ ვერ გამიმეტე მუცლით სატარებლად, არ გღირსებოდეს დედობაო...

შენც, ჩემო ჩამსახველო, მამობის ყადრს ვერ ეღირსებიო...

და შენ წყეულ იყავ, ჩემო ამკუწველო, წამებით სიკვდილი გელისო...

გოგომ უმალ დაჰკარგა გონი, სისხლით დაცლა იწყო...

აბორტმახერს ხელები დაეკრუნჩხა, გაჭირვებით განაგრძო საქმე...

ვაჟი, წინა ოთახში რომ ელოდა საქმის გასრულებას, დამფრთხალ-გონარეული გავარდა გარეთ: ის შემზარავი რეკვა კვალდაკვალ მისდევდა, ეხვეოდა და ეხვეოდა გარს ყოველი მხრიდან და სწორედ იმ წყევლა-კრულვამ შეაჯახა სატვირთო მანქანას — ერთი დაბღავლებაღა მოასწრო, სამგზის ამოტრიალდა ჰაერში და კეფით მიეჯახა რკინაბეტონის ბოძს. თავის ქალამ ყუმბარასავით იფეთქა: შემაძრწუნებელ-შემზარავ-ულამაზესი რამ იყო ტროტუარზე დანთხეული ტვინისა და სისხლის ფერთა ლივლივ-მონაცვლეობა — ტვინი ჩვეულებრივზე უფრო თეთრად ბზინვარებდა და ლივლივებდა სისხლის სიწითლის გამო, სისხლი კი ჩვეულებრივზე წითლად ღუოდა და ენთო ტვინის სითეთრის გამო...

გოგომაც იმ წუთას დალია სული, ტვინი რომ დაენთხა ტროტუარს...

წყევლა კი ისევ და ისევ იგრაგნებოდა, გაბმულადა და შემზარავად რეკდა და რეკდა და კარგახანს არ შეჩერდება...

ახლა აბორტმახერი ციხის საკანში გამოუკეტია იმ წყევლას, ჰო, ამჯერად იქ არის და ცოდვებს როდი ინანიებს, სასჯელს იხდის: დრო გავა, პატიმრობის ვადას გაასრულებს დედაკაცი და — კუზიანს სამარე გაასწორებსო — კვლავაც აბორტმახერობას მიჰყოფს ხელს, ქონების დაგროვებას მოიწადინებს, ქმარი კი მობერებულ-დაჩაჩანაკებული მოეჩვენება, მოეჩვენება კი არა, მართლაც ასე იქნება — შრომას მიუჩვეველ და ცოლის ხელისშემყურე მამაკაცს ლუკმაპურზე ზრუნვა ჩამოაჭკნობს, სადღა ექნება ქალის თავი და დიაცი სხვა მამაკაცს გაიჩენს, ერთხანს იმასაც გაანებივრებს ფულითა და სარეცლით, დაორსულდება მერე — ძმას ან დას ხომ არ დავაჩაგვრინებ ჩემს ერთადერთა ბიჭსო, თავისსავე მსგავს აბორტმახერს როდი ეწვევა, ტუტუცი ხომ არა ბრძანდება, სამშობიაროს მიაკითხავს მუცლის მოსაშლელად და სამართალი პურს შესჭამს:

სისხლით დაიცლება აბორტმახერი...

აი, მაშინღა შესწყვეტს ზარივით რეკვას ის შემზარავი წყევლა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავგანწირვა

(დასასრული)



ერ სამყაროს, არამედ იმითაც, რომ ამ გაფერმკრთალებულ ხელნაწერში ხვდებით არაერთ ცნობილ პიროვნებას, ნაცნობ სახელს.

შვიდი კლასი საკმარისი იყო საშუალო განათლებისთვის, მაგრამ ვისაც ახლადგახსნილ ქართულ უნივერსიტეტზე ეჭირა თვალი, 8 კლასი უნდა გაესრულებია. მეშვიდე კლასის დამთავრებისას ჩაუწერია 1919 წლის ივნისში.

„მე-8 კლასის მოწაფე ვარ. აქამდე ბედნიერებას წარმოადგენდა ის წუთი, როდესაც გამომიცხადებდნენ, შენ გადახვედიო. როცა მართლა დადგა ის დღე, გულგრილად მივიღე და მასწავლებელთანაც ჩხუბი მქონდა ნიშნებზე, უფრო კარგი მინდოდა. სწავლისაგან მაინც მოსვენებული ვიქნები მთელ ზაფხულს.“

. . .

„როცა ნიშნები დაგვირიგეს წმ. ელენეს და კონსტანტინეს დღე იყო (ე. ი. 3 ივნისი, ნ. ღ.) და ამის გამო მისალოცად წავედით. მე და ქეთო. ვიყავი ელო ავალიშვილთან. ოჰ, როგორ ვიცინოდით, სულ პირი გვილიმოდა... ჩვეულებისამებრ ქეთო ამღერეს, გავიცანით ახალი მხატვარი-ფუტურისტი გუდიაშვილი, ჩამაშტერდა როცა გაიგო კოტეს ქალიაო“.

...მსგავსი ეპიზოდი ოპერის ფოიეში: ანტრაქტის დროს, მის მზერას დაიჭერს პაოლო იაშვილი და გვერდით მდგომ ნინო მაყაშვილს შეეკითხება გოგონას ვინაობას.

— ეგ კოტეს ქალიაო. — ყური მოუკრავს პასუხისათვის.

... კოტეს ქალი... როგორი სიამაყის ბეჭედი აზის ამ სიტყვებს — კოტე მაყაშვილს, სამაგალითო ქართველს და პოეტს, დამოუკიდებელი საქართველოს თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწეს, ყველა დიდ პატივს სცემს, მაროსთვის მამა მარტოოდენ მშობელი კი არა, მეგობარიცაა, საერთოდ, უფროსებთან მეგობრობის ნიჭი აქვს — ეს ჩანს დედასთან, ბებია ეკატერინესთან, ბიძასთან — რეზო გაბაშვილთან, მამის მეგობარ პოეტებთან ლელი ჯაფარიძესთან, დავით კოპალეიშვილთან (რომელსაც კოპალად იხსენიებს) დამოკიდებულებაში.

მარო დიდ ანგარიშს უწევს და თანაუგრძნობს რეზო გაბაშვილს — დემოკრატს, ისინი მტკიცე ხასიათით და სამართლიან ამბითაც გვანან ერთმანეთს.

ცნობილია, რომ სიცოცხლის მიწურულში, სამშობლოდან გადახვეწილმა რეზო გაბაშვილმა მიუნხენში გამოსცა წიგნი „რაც მახსოვს“ (1959 წ.), რომელშიც კიდევ ერთხელ გამომჟღავნდა არა მარტო მისი პუბლიცისტური ნიჭი, არამედ ჟამთააღმწერლის ალღოც.

მოგონებებში ტაბახმელა-კოჯრის ამბებიცაა გადმოცემული. თურმე იგი ფეხით ადიოდა ხოლმე ფრონტელებთან, მაგრამ რატომღაც არსად ახსენებს თავისი დისწულის მარო მაყაშვილის ამბავს. დამაფიქრებელია ამ წიგნში მოთხრობილი მსგავსი ტრაგიკული ეპიზოდი მაროს სულიერი წინამორბედის ანეტა ანდრონიკაშვილისა, პირველი მსოფლიო ომის დროს რომ წასულა სათნოების დად სამხედრო გემზე.

„პორტუგალია“. ეს იყო „გემი-ჰოსპიტალი“, რომელიც მიდიოდა ბათუმისკენ და „ტროსით“ (მავთულის ღვედი) გამობმული დიდი ნავი მოსდევდა იარაღით დატვირთული. წყალქვეშა დაღმით ჩაძირა ორივენი; და შეიძლება არც ღირებულიყო „მსოფლიო“ ომის ასეთ მცირე მოვლენაზე ლაპარაკი, რომ ამ გემ-ჰოსპიტალზედაც და ამ წყალქვეშაშიაც ქართველები არა ყოფილიყვნენ. გემთან ერთად დაიღუპა ქართველი მოწყალების და ანეტა ანდრონიკაშვილი“...

ეს იყო უბედური შემთხვევა, როგორც, ამბობს რ. გაბაშვილი, განმარტავს კიდეც მიზეზს და სინანულით დასძენს, რომ ამ ბრმა შემთხვევამ იმსხვერპლა „პორტუგალია“ და სათნოების და ა. ანდრონიკაშვილის ასული...

...მარო კი არ გაახსენდებოდა მოგონებების წერისას?! შეუძლებელია უბრალოდ, ძნელი იყო ახლობლებზე წერა, ძველი ჭრილობის გახსნა...

...ხოლო მის ქალიშვილს ქალბატონ ციალა გაბაშვილს, ახლაც ცხადად ახსოვს ის გლოვის დღე.

— დიდი ელდა იყო ჩვენი ოჯახისათვის მაროს დაღუპვის გაგება. განსაკუთრებით განიცდიდა ბებია ეკატერინე, მაგრამ ჩვეული მოთმინებით იტანდა მწუხარებას. დაკრძალვაზე მთელი ნათესაობა ერთად წავედით, მე ბებიას არ მოვცილებივარ, მახსოვს სამხედრო ტაძრის გარშემო მუხლმოდრეკილი შაოსანი ქალები, ქუდმოხდილი მამაკაცები. პირველად მარო დაკრძალეს, შემდეგ იუნკრები.

— მარო კარგად გახსოვთ?

— როგორ არა, ბებიასთანაც ხომ გვაქვს სურათი გადაღებული, მაშინ შვიდი წლისა თუ ვიქნებოდი. მახსოვს, ასაკის მიხედვით განალაგა ბებიამ შვილიშვილები: უფროსები მარო და შალვა ზემოთ დააყენა, აქეთიქით მომდევნოები გიორგი და ნუნუ, მერე მე და ეკა შირსკაია. გიორგი და ეკა ეკატერინეს მეორე ქალიშვილის — ნინოს შვილები იყვნენ. წინ კატუნა ზის, მაროს უმცროსი და (მისი გარდაცვალების შემდეგ მალე დაიღუპა), კალთაში კი ჩემი ძმა სანდრო (ბიჭიკო) ჩაისვა.

...ეს სურათი დაახლოებით 1912-13 წლებშია გადაღებული. ამის შემდეგ ეკატერინეს კიდევ შეემატა შვილიშვილები გურამი — რეზოს ვაჟი,

ნუგეშა — თამარის უმრწემესი ასული.

— არაჩვეულებრივი ქალი იყო ბებია, ძალზე ამყოლი და მოსიყვარულე, მაგრამ უმცროს შვილიშვილებთან მას სურათი აღარ გადაუღია — მითხრა ერთხელ ქალბატონმა ნუგეშა მაყაშვილმა ფარული სინანულით.

— მარო ძალიან კარგი შესახედავი იყო. მაღალი, მოხდენილი, თვისებიანი. ჩვენ ბებიასთან ვცხოვრობდით. ხშირად მოდიოდა მასთან. ჩვენ ეზოში ბევრი ბავშვი იყრიდა თავს. მახსოვს, თამაშობდა ხოლმე იმათთან. მე პატარა ვიყავი და მარაქაში არ მრევდნენ, — მიამბობს ქალბატონი ციალა.

— მარო რომ დაიღუპა, მეხუთე კლასში ვიქნებოდი. მის დაკრძალვაზე მოსული მამაკაცები რომ ქუდს იხდიდნენ, ისე დაგვამახსოვრდა მე და ჩემ ტოლებს, რომ მას მერე გზად თუ სამგლოვიარო პროცესიას შევხვდებოდი, ბიჭებთან ერთად გოგონებიც ქუდს ვიხდიდით...

— ასეც მაგონდება: ჩვენი ქალთა 1 სკოლა სამხედრო ტაძართან ახლოს იყო. წლისთავზე, 26 მაისს რამდენიმე მოსწავლემ გაკვეთილები მივატოვეთ, ყვავილები ვიყიდეთ და მაროს საფლავზე მივიტანეთ. ჩვენი დირექტორი სოფიო ჩიჯავაძე იყო. გაჯავრებით არ გაგვჯავრებია, თუმცა მშობლები კი დაიბარა... ჩვენ შინ მაინც არ გაგვიმხელია... ერთი თანაკლასელის დეიდა მივიყვანეთ...

— პატარები კი ვიყავით, მაგრამ ბუნდოვნად მაინც გვესმოდა, რატომ დაიღუპა მარო... რომ მან ამ დღისთვის გასწირა თავი.

. .

...ახლა ის „პაროლიც" მესმის თითქოს, „შევარდნელებს" რომ ქონიათ. მარო ხომ თავგამოდებული შევარდენი იყო! მასთან ერთად ყოფილან ამ სპორტულ საზოგადოებაში თვით გიორგი ნიკოლაძის და თამარი, ჟორჟეტა ლამბაშიძე (შემდეგში მისი მეუღლე), დები ქეთო და თინა ჯაფარიძეები, მაროს და ნუნუც. ლამაზი ფორმა ჰქონდათო, — იგონებს ბატონი შალვა ხიდაშელი.

... და მერე:

— იცით, როგორ ვესალმებოდით ერთმანეთს „შევარდნელები".

— გუშაგობ ერს?!

— მარად! — იყო პასუხი.

... „შევარდენიც" არა მარტო სხეულს, სულსაც აკაჟებდა, მამულიშვილურ გრძნობას აღვივებდა — ერის გუშაგებს ზრდიდა.

აკი ამ რწმენით დადგა სამშობლოს სადარაჯოზე მარო მაყაშვილი.

...ჟამთა სვლამ ბევრი რამ წაშალა. წაშალა მისი საფლავიც, მაგრამ ხსოვნა კი ვერა!



და რუსთაველზე, ნატყვიარი და თვალებდათხრილი თბილისის შუაგულში, ხელახლა შეძრულ ნასაფლავართან, ისევ ჩამესმის ტირილი მთვარიან ღამეში...



2007

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წმინდა ტაძარი



ერთ-ერთი იმათგანი, ვისაც ღვთიური სიტყვა შეაქვს ხალხში, რწმენითა და სიმართლით ემსახურება საქართველოს, არის ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მღვდელმსახური მამა სოკრატე. იგი შიდა ქართლის სოფელ აჩაბეთში, გლეხის ოჯახში დაიბადა. მამა, დიმიტრი ჭულუხაძე, მეორე მსოფლიო ომში დაიღუპა. დედას, სალომე კახნიაშვილს, 9 შვილი დარჩა. ცხინვალის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მამა სოკრატე მცხეთის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა. მერე იქვე ასწავლიდა ძველი და ახალი აღთქმის საფუძვლებს. წლების მანძილზე ერთდროულად ეწეოდა ღვთისმსახურებას სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში, დიდუბის ღვთისმშობლის, კუკიის წმინდა ნინოს, მთაწმინდის წმინდა დავითის ეკლესიებში. 1975 წლის დეკემბერში ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა. მაშინვე აღიკვეცა და არქიმანდრიტის ხარისხი მიენიჭა.

რამდენიმე დღე გავატარე მასთან ქვაშვეთის ეკლესიაში. ვისმენდი მის ქადაგებას და თვალნათლივ ვნახე, თუ როგორი სიყვარულითა და მოწიწებით ეპყრობოდნენ მორწმუნენი...

**— თქვენო მაღალღირსებავ, როგორ უყურებთ პრესის თანამშრომლობას მღვდელმსახურთან?**

— ფრიად დადებითად. ბოლო წლებში პრესაში და ტელევიზიით ხშირად გამოდიან მღვდელმსახურნი, რომლებიც ცდილობენ, არამარტო აღადგინონ მივიწყებული, ეროვნული კულტურული ტრადიციები, არამედ ხალხს გაუღვივონ სინდისი. ამასთან, დიდი სურვილი მაქვს, ჟურნალისტების ყურადღება მივაქციო იმას, რომ ისინი პრესასა და ტელევიზიაში პროპაგანდას უწევდნენ რწმენას, სასოებასა და სიყვარულს, ადამიანებს ზრდიდნენ სიკეთის სულისკვეთებით.

**— მოდით, თავიდან ამ ეკლესიის სახელწოდება გავარკვიოთ. მას ყველა ქაშვეთად იცნობს. ზოგიერთი პარალელსაც კი ავლებს მის სახელწოდებასა და სვანურ სოფელ ქაშვეთს შორის. როგორია ჭეშმარიტება?**

— ამ ტაძრის სწორი სახელწოდება ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესია. აი, აგერ კედელზე გაკრულია დაფა, რომელზეც მითითებულია, რომ ტაძარს ქვაშვეთი ეწოდება და აგებულია 1904-1910 წლებში კალისტრატე ცინცაძის ხელმძღვანელობითა და მზრუნველობით. იქვე ჩამოთვლილია იმ მღვდელმსახურთა და ტფილისის მორწმუნე დიდებულთა გვარები, რომლებიც ეხმარებოდნენ მას ამ კეთილშობილურ საქმეში.

**— გამიგონია, რომ არსებობს ტაძრის სახელწოდებასთან დაკავშირებული ლეგენდა.**

— დიახ, ასეთი ლეგენდა არსებობს. 12 ასირიელ მამათაგან ერთ-ერთი — მაღალღირსეული დავითი, რომელიც საქართველოში VI საუკუნის დამდეგს ანტიოქიიდან ჩამოსულა, ქადაგებდა მთაწმინდის მღვიმეში, სადაც ამჟამად მისი სახელობის ეკლესია მოქმედებს. იგი ქადაგებდა ახლანდელი ტაძრის ადგილზეც. საქართველოს მეფემ მირიანმა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად კი გამოაცხადა, მაგრამ წარმართული კულტის თაყვანისმცემლები აქა-იქ მას დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ. ამიტომ ზოგ-ზოგებს სურდათ სახელი გაეტეხათ მამა დავითისათვის და ვინმე ფეხმძიმე ქალი დაიყოლიეს, ეთქვა — დავითმა შემაცდინაო. ამ საზიზღარი ცილისწამების პასუხად მამა დავითმა წარმოთქვა: თუ ბავშვი ჩემგან არის ჩასახული, დაე, ბავშვი დაიბადოს და თუ სხვისგან — დაე, მან ქვა შვასო. არის ლეგენდის მეორე ვერსიაც. მამა დავითმა თავისი კვერთხი მიადო ფეხმძიმე ქალის მუცელს და ყველას გასაგონად ჰკითხა: „შვილო, ვისგან ხარ ჩასახული". დედის სტომაქიდან დამსწრეებს მოესმათ ყრმის ხმა, რომელმაც დაასახელა ნამდვილი მამა, ვინმე მჭედელი. მორწმუნეებმა ქვებით ჩაქოლეს ცილისმწამებელი. ლეგენდის როგორც პირველ, ისე მეორე ვერსიაში ფიგურირებს ქვა, ასე რომ ვიმეორებ ტაძრის ისტორიულ სახელწოდებას — ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესია.

**— როგორ წარიმართა მამა დავითის შემდგომი ბედი?**

— მამა დავითმა საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებული როლი შეასრულა. ზემოთ დასახელებული შემთხვევის შემდეგ მამა დავითმა ერთგულ მოწაფესთან ერთად დატოვა ტფილისი და კახეთს, გარეჯის უდაბნოს მიაშურა. იქ ერთ-ერთ მღვიმეში განაგრძო თავისი კეთილშობილური საქმე. ასე ჩაეყარა საძირკველი მომავალ მონასტერს, რომელიც შემდგომ საქართველოს მოზრდილი რელიგიურ-კულტურული ცენტრი გახდა. მამა დავითის ცხოვრება და საქველო საქმეები მის სიცოცხლეშივე იყო აღწერილი. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენამდე ვერ მოაღწია, არის უფრო გვიანდელი გამოკვლევები ამ უჩვეულო პიროვნებაზე, რომლის კეთილშობილური საქმიანობა ხელს უწყობდა საქართველოში მართლმადიდებლური ეკლესიის დაცვასა და განმტკიცებას. იგი ისტორიაში დავით გარეჯელის სახელით შევიდა.

**— საინტერესოა, ვინ ჩაიფიქრა ქვაშვეთის ტაძრის მშენებლობა?**

— სამწუხაროდ, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წლებში ბევრი საეკლესიო საარქივო მასალა განადგურდა ან დაიკარგა. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ბევრს აკეთებს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის უმდიდრესი მემკვიდრეობის აღსადგენად.

წინათ აქ მდგარა მამა დავით გარეჯელის სახელთან დაკავშირებული ეკლესია. არაერთხელ გადაუკეთებიათ იგი. თავიდან ხისგან ყოფილა ნაგები, შემდეგ ქვისგან. XVIII საუკუნეში ამილახვართა ღირსეული გვარის მეშვეობით აქ აიგო აგურის ახალი ეკლესია. მაგრამ ისიც დაძველდა. XIX საუკუნის დამდეგს ტფილისის მაშინდელი წინამძღოლის მარკოზ ტყემალაძისა და ტაძრის მღვდელმსახურთა ზრუნვით გაიწყდა ახალი ტაძრის აგება. პროექტის ავტორი იყო არქიტექტორი ბილფელდი, რომელმაც ნიმუშად გამოიყენა ძველი ქართული არქიტექტურის ერთ-ერთი საუკეთესო ძეგლი — სამთავისის ტაძარი. სხვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისაგან განსხვავებით, ქვაშვეთი ორსართულიანი, ორტრაპეზიანია.

**— მამაო სოკრატე, არ შეიძლება გამვლელი ალტაცებაში არ მოიყვანოს ტაძრის ჩუქურთმებმა. შესანიშნავია ორნამენტი — სასწაული ტაძრის აღმოსავლეთი მხარის შესასვლელის თავზე, სადაც გამოსახულია რვაქიმიანი ვარსკვლავი — შუაში ჯვრით, ასე რომ ეხმიანება საქართველოს რესპუბლიკის სიმბოლიკას.**

— ამ მხრივ ქვაშვეთის ტაძარს აშკარად ბედმა გაუღიმა. ქვაზე ჭრის ყველა სამუშაო შესრულებულია ამბროლაურელი ცნობილი ოსტატების, ძმების — ნეოფიტე და ვლადიმერ აღლაძეების მიერ. ორივე მათგანი ტფილისის ანდრეოლეტის სახელოსნოში სწავლობდა. ტაძრის შესასვლელთან დღემდე ჩინებულად არის შემონახული წარწერა „ა. ანდრეოლეტი". ნეოფიტე აღლაძემ, რომელიც მრავალი წლის მანძილზე თბილისის სამხატვრო აკადემიაში ასწავლიდა, თავისი ოქროს ხელი ძველი ქართული ხუროთმოძღვრების შედევრს — სვეტიცხოველსაც შეახო, სადაც აღადგინა დაზიანებული ქვის ლავგარდანები და ტაძრის სახურავი.

**— უფროსი თაობის ადამიანებს ახსოვთ, რომ გამოჩენილმა მხატვარმა ლადო გუდიაშვილმა ორმოციანი წლების დამლევს მოხატა ქვაშვეთის ტაძრის საკურთხეველი. თანაც იმ დროს, როცა ეკლესიაში შეხედვაც კი საშიშად იყო მიჩნეული. ვინ იცის, მაშინ რამდენი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მხატვრის გაბედულებამ.**

— ლადო გუდიაშვილი ღვთისნიერი კაცი იყო — ბრძენი, მიმტევებელი, გაბედული და ჭეშმარიტი მხატვარი. სხვათაშორის, დიდი მხატვრის ცხოვრების ამ ეპიზოდზე მშვენიერი მხატვრული ნაწარმოების დაწერა შეიძლებოდა. დასანანია, რომ დღემდე არავის მოსვლია აზრად ამის გაკეთება.

დიახ, ქვაშვეთის ტაძრის გაშიშვლებული კედლები და თაღები წლების მანძილზე ელოდა შემოქმედის ხელს. 1946 წელს კათალიკოს-პატრიარქმა კალისტრატე ცინცაძემ ლადო გუდიაშვილს სთხოვა, მოეხატა ტაძარი. მხატვარი დაჰყაბულდა და დიდი მუშაობაც გასწია — თვითონ გამონახა მცენარეული საღებავების უძველესი რეცეპტები და მთელი დღეები თავდაუზოგავად ილვწოდა ტაძრის მაღალ გუმბათქვეშ. ამ დროს იგი უკვე ორმოცდაათს იყო გადაცილებული. ლადო გუდიაშვილმა შექმნა უამრავი წინასწარი ესკიზი და ჩანახატი, რომელთაგან თითოეული ხელოვნების ნებისმიერ მუზეუმს დაამშვენებდა. საკურთხევლის ძირითადი სივრცის მოხატვა მხატვარმა ცხრა თვეში დაასრულა. ეს ფანტასტიკური ვადაა ესოდენ დიდი მასშტაბის სამუშაოსათვის, არადა, სულ ორად ორი კაცი ეხმარებოდა: შალვა აბრამიშვილი და არსენ ფოჩხუა. თქვენი არ იყოს, ბევრი კითხულობს ვინ არის გამოსახული ლადო გუდიაშვილის ფრესკებზე. ღვთისმშობელი ყრმა იესოთი ხელში, ვაზითა და მფრინავი ანგელოზებით გარშემორტყმული, საქართველოს ღვთიური ქალის განზოგადებული სახეა. საიდუმლო სერობაში კი ღვთისშვილის ორ გამოსახულებას პროტოტიპად რეალური პიროვნება ჰყავდა — ლადო გუდიაშვილის საყვარელი მოწაფე, თბილისის სამხატვრო აკადემიის 1947 წლის კურსდამთავრებული, ამჟამად რესპუბლიკის სახალხო მოქანდაკე ბიძინა ავალიშვილი. სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას, რომ უჩა ჯაფარიძე ბესიკის პორტრეტებს ბიძინა ავალიშვილის მიხედვით ქმნიდა.

აი, შეხედეთ ღვთისმშობლის მარცხენა მხარეს იესო ქრისტე მოციქულს პურს აწვდის, ესე იგი, ბიბლიური გადმოცემით საკუთარ ხორცს, ხოლო მარჯვნივ — ღვინოს, ანუ საკუთარ სისხლს. მოციქულის სახით ლადო გუდიაშვილმა აღბეჭდა კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე, ხოლო მარჯვენა მხარეს გამოსახულია ქვაშვეთის ეკლესიის ეპისკოპოსი დიმიტრი ლაზარიშვილი, რომელიც აქვე, ტაძარშია დასაფლავებული.

ლადო გუდიაშვილმა მოხატა ტაძრის მხოლოდ საკურთხეველი, რითაც ოფიციალურ ხელისუფალთა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. სამწუხაროდ, მან ვერ მოასწრო ქვაშვეთის ტაძრის მთლიანად მოხატვა.

ამჟამად ტაძრის თითქმის მესამედი უკვე დიდი ხანია ხარაჩოებშია ჩასმული. დრო გვიჩვენებს, ვინ იქნება ლადო გუდიაშვილის საქმის ღირსეული გამგრძელებელი. ჯერჯერობით კი ღმერთს ვევედრებით, რომ ტაძარი რაც შეიძლება მალე წარსდგეს მთელი თავისი სილამაზით მორწმუნეთა წინაშე.

**— თქვენთან ერთად ვინ ასრულებს ღვთისმსახურებას ქვაშვეთის ტაძარში?**

— 1980 წლიდან აქ მსახურობს დეკანოზი ელიზბარ ოდიშვილი, წარმოშობით დუშელი. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი თბილისის საავიაციო ქარხანაში მუშაობდა, მაგრამ გული ეკლესიისაკენ მიუწევდა. დაამთავრა მცხეთის სასულიერო სემინარია, სამი შვილის მამაა. იგი ჩემს გვერდით იყო 1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკულ ღამეს. ახლახან მამა ელიზბარი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს ახლდა აფხაზეთში. 25 ნოემბერს სოხუმის საკათედრო ტაძარში კათალიკოს-პატრიარქის ხელიდან მიიღო შემკული ჯვარი, რაც დეკანოზისათვის უმაღლეს ჯილდოდ ითვლება.

მამა ღვთისო შალიკაშვილი 53 წლისაა, სამი შვილი და ამდენივე შვილიშვილი ჰყავს. 10 წელიწადია სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის მთავარდიაკონია. დაამთავრა მცხეთის სასულიერო სემინარია, 1987 წლიდან ჩვენს ტაძარში მსახურობს, მიღებული აქვს ჯილდო — ჯვარი. ახლახანს ჩვენ შეგვემატნენ მღვდლები — პავლე, ალექსი და ალექსანდრე.

**— რას იტყოდით საქართველოს რესპუბლიკაში რელიგიური დღესასწაულების აღდგენაზე? ას ორმოცდაათზე მეტი რელიგიური დღესასწაული გვაქვს.**

— ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ყოველთვის აღნიშნავდა თავის დღესასწაულებს. ბოლო წლებში ეროვნული მოძრაობა სულ უფრო და უფრო იმსჭვალება იმის შეგნებით, რომ მხოლოდ რელიგიაშია მისი ძალა და კეთილდღეობა. სასიხარულოა, რომ ქართული მართლმადიდებლური დღესასწაულების აღდგენა სწორედ წმინდა გიორგის დღის აღნიშვნით დაიწყო, რომლის სახელსაც ქვაშვეთის ტაძარი ატარებს. ეს თარიღი 23 ნოემბერია. სხვათა შორის, ჩვენს ეკლესიაში წმინდა გიორგის დღესასწაული ორჯერ იმართება. ზამთრის დამდეგს — 23 ნოემბერს და გაზაფხულის დამდეგს — 6 მაისს

**— რით აიხსნება რელიგიისადმი ინტერესი, ეკლესიისადმი მისწრაფება, ბოლო დროს ასე ძალუმად რომ შეიმჩნევა?**

— მრავალი წლის მანძილზე ქართველი ხალხი ჩამოაშორეს ეკლესიას. მესამე და მეოთხე თაობაც კი უეკლესიოდ გაიზრდებოდა, ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში სასიკეთო ცვლილებები რომ არ მომხდარიყო.

ქართული მართლმადიდებლური რელიგიის 1600 წლისაზე მეტი ხნის ისტორია არის ქართველი ხალხის ისტორიაც, რომელსაც სიყვარულის, სიკეთისა და მოწყალების უმდიდრესი ტრადიციები აქვს. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!

**ლევან დოლიძე**

ფრანგი მწერალი-დემოკრატი, ჟიულ რენარი (1864-1910) მკითხველისათვის ცნობილია თავისი გახმაურებული ნაწარმოებით „წითური". შემდგომ მან გამოაქვეყნა კრებული-დღიური „ბუნების ამბები", სადაც რენარი წარმოგვიდგება, როგორც ნეორომანტიკოსი, ესთეტი მწერალი (1896 წ.). ამ მინიატურებში ჩანს, რომ მწერალი ბუნებას კარგად იცნობს და რაც შეიძლება უბრალოდ, რბილ ფერებში გადმოსცემს მას. ცხოველთა სამყაროს სახეების თავისებური დანახვისას იგი ეყრდნობა მათ ნირს, ფსიქოლოგიურ მომენტებს და მოკლე ფრაზით აღწევს გამომხატველობით სიზუსტეს.

## ქათამი

საქათმის კარი გაიღება თუ არა, ის ქანდარიდან გადმოსკუპდება ხოლმე.

ერთი უბრალო ქათამია, არც მორთვა-მოკაზმვით გამოირჩევა და არც ოქროს კვერცხების მდებელია.

მზის შუქი თვალს სჭრის. ეზოში ყოყმანით რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს.

ნაცრის გროვას დაინახავს თუ არა, ყოველ დილით, პირველად იქ ჩაჯდება და ღამე დახვეული რწყილების მოცილებას მოჰყვება.

მერე, წინადღის წვიმის წყლით სავსე ბრტყელძირა ჰურჰლისაკენ გასწევს.

სასმელიდან მხოლოდ წყალს მიირთმევს.

პატარ-პატარა ყლუპებით, ზეცისკენ იხედება, წონასწორობას იჭერს, რომ ჰურჰელს არ გადაეგოს.

მერე მარცვლებს უწყებს ძებნას.

ჰია-ღუა და საკენკია საძებარი, თორემ საწიწკნი ბალახი, გიყვარდეს, — იქვეა.

ქათამი ჩაჰკრავს მიწას ნისკარტს, კიდევ ჩაჰკრავს, დაღლით კი არ იღლება.

ხანდახან შეჩერდება, თავს იწონებს თავისი ჩინჩახვით და მობდენილი ბიბილოთი, ფრიგიელი ჯარისკაცის წითელი ქუდივით, რომ ადგას თავზე, გაფაციცებით აყურადებს გარემოს ხან ერთ ყურს მიუგდებს, ხან მეორეს.

რაკი დარწმუნდება, რომ ირგვლივ ახალი არაფერი ხდება, ისევ საკენკს დაუწყებს ძებნას.

ქათამი ისე მაღლა სწევს თავის გაშეშებულ ფეხებს, რომ თითები წვეტებივით ეკიდება, მერე გაპარჭყავს და ისე უჩუმრად დგამს მიწაზე, თითქოს ფეხშიშველი დადისო.

## ტოროლა

მე არასოდეს მინახავს ტოროლა, განთიადზეც ამაოდ ვდგები. ტოროლა ხომ მიწის ფრინველი არ არის.

დღეს დილიდან სულ ფეხით გადავთელე რაც რამ მიწის ბელტი და გამხმარი ბალახი იყო.

ჩემს თვალწინ ხან წითელყვითელმა ჩიტბატონებმა, ხან კი ნაცარა ბელურების გუნდმა ეკლიან ღობეს გადაუქროლეს.

ჭრელ ბუმბულში გამოწყობილმა მიკიოტმა ხეებს თვალი შეავლო და გადაუფრინა.

მწყერმა იონჯა ბალახს შურდულივით ჩაუქროლა და ლარივით კვალი დატოვა.

მწყემსი ბიჭი ქსოვაშია გართული. ტოლს არ უდებს ქალს ამ საქმეში, მის უკან, ერთმანეთის მიყოლებით ცხვარი მიიზლაზნება. სულ ერთნაირები არიან.

გარემო ისეა ჩაფლული მზის წმინდა შუქში, რომ ყვავიც კი, ადამიანს სიკეთეს რომ არ უქადის, ღიმილს დაგტყუებთ.

აბა, თქვენც ჩემსავით დაუგდეთ ყური!

ხომ გესმით, იქ, მაღლა, როგორი წკარუნით ეცემიან ოქროს თასში ბროლის მარცვლები?

ვინ მეტყვის, სად გალობს ტოროლა?

ზეცას რომ ავხედო, მზე თვალს მომჭრის.

ეჰ, თავი უნდა დავანებო ამ ახირებას, მისი ხილვა არ მიწერია.

ტოროლა ცაში ცხოვრობს. ის ლაჟვარდის ერთადერთი ჩიტია, რომლის წკრიალი ციდან ჩვენამდე აღწევს.

## ფარშევანგი

ის დღეს ნამდვილად დაიდგამს გვირგვინს.

მართალია, ეს ქორწინება გუშინ უნდა მომხდარიყო. ნეფედ გამოწყობილი ფარშევანგი მზად გახლდათ, თავის ქალბატონს ელოდა, ის კი არ მოვიდა. დაგვიანება არ სჩვევია.

წესისამებრ, ძვირფასი საჩუქრებით აჩონჩხლილი ფარშევანგი ინდოელი პრინცის ყაიდაზე, მედიდურად გადიგამოდის. სიყვარული ეშხს ჰმატებს მისი ბუმბულის ბზინვარებას, ხოლო ბიბილო სიმავით უთრთის.

გულისწორი არ ჩანს.

ის სახურავზე ადის და იქიდან, მზისკენ გასცქერის გზას.

ლეონ! ლეონ!

მიკიოტის ხმით ამოიკივლებს.

ასე ეძახის თავის საცოლეს. მომსვლელი კი არ ჩანს, არც არავინ პასუხობს. ეზოს ქათამ-ინდაური შეეჩვია მის ხმას და თავსაც არ იღებენ მაღლა. დაიღალნენ მისი ტრფიალით. ფარშევანგი ისევ ჩამობრძანდება ეზოში. იცის, სილამაზეში ბადალი არ ჰყავს და შავი ფიქრები ვერ ერევიან.

ფარშევანგი ხვალ დაქორწინდება. მანამდე კი რით შეიქციოს თავი? ისევ ეზოს ჭიშკრისკენ გასწევს. მედიდურად აივლის შემოსასვლელი კიბის საფეხურებს, თითქოს ტაძარში უნდა შევიდესო.

აიკეცავს სამოსელის კალთებს და თვალს ვერ აშორებს თავის დამძიმებულ ბოლოს.

ფარშევანგი უკანასკნელად იმეორებს თავისი მოდგმის წინა საქორწინო ადათ-წესს.

## ირემი

ტყეში ხეივნიდან შევედი. ის კი მეორე მხრიდან გამოჩნდა.

ჯერ მეგონა ვიღაც უცნაური მიახლოვდებოდა თავზე ყვავილების ქოთნით.

მე უფოთლებო, გაბარჯღულტოტებიან ჯუჯა ხედ შევიცანი.

როგორც იქნა, ნათლად დავინახე ირემი.

ორივენი შევჩერდით.

მივმართე:

— ნუ გეშინიან, მომიახლოვდი. ეს თოფი ლაზათისათვის გადავიკიდე, მიბაძვით, სხვისი თვალის ასახვევად, თორემ თოფს არასოდეს ვისვრი, ვაზნებსაც ბუდეში ვინახავ.

ირემი ყურს მიგდებდა, ჩემს სიტყვებს ყნოსავდა. როგორც კი გავჩუმდი, აღარ დაყოვნდა: გაბრუნდა, რტოებივით ირხეოდნენ მისი ფეხები, ქარის დროს რომ ერთმანეთში იხლართებიან და მერე ისევ სწორდებიან ხოლმე.

— გული დამწყვიტე! — გავძახე ირემს. ოცნებაში უკვე წარმოდგენილი მქონდა — მე და შენ ერთად დავადექით გზას მე საშენო, რძიან ბალახს გთავაზობდი, შენ კი ჩემი თოფი რქებზე გადაგეკიდა და ტანის რხევით მომყვებოდი.

## გედი

ის, თეთრი ციგასავით სრიალებს აუზში, ხან ღრუბლის ერთ ქულასთან მიცურდება, ხან მეორესთან. მხოლოდ ეს ფიფქა ღრუბლები თუ დაანაყრებენ, წყალში რომ ჩნდებიან, მიდი-მოდიან და ქრებიან. ამ ღრუბლებიდან ერთი ამოირჩია, ნისკარტი დაუმიზნა და უცებ, ქათქათა ყელით წყალში ჩაყურყუმალავდა.

მერე, ღრუბელი ისე ამოსწია წყლიდან, თითქოს ქალის მკლავი სახელოდან ამოძვრა.

არაფერი შერჩა.

იყურება: დამფრთხალი ღრუბლები გაქრნენ.

ერთხანს უიმედობამ შეიპყრო. ღრუბლები, ცოტა არ იყოს, აგვიანებდნენ გამოჩენას, მაგრამ იქ, სადაც ტალღები მიყუჩდნენ, ახალი ღრუბლის ქულა გამოინასკვა.

თავის ფიფქა ბუმბულის ბალიშზე მოკალათებულმა გედმა მშვიდად გააპო წყალი და მიუახლოვდა.

არაქათი გამოეცალა ამ ფუჭ ანარეკლებზე ნადირობით. სანამ ამ ნამცეცა ღრუბელს დაიჭერს, იქნებ სულიც კი განუტიოს და შეეწიროს ამ ცდომილებას.

ღმერთო ჩემო, მეც ვუყვები რა ზღაპრებს!

გედი რომ ჩაყვინთავს, ყოველთვის ნისკარტით ეძებს ნოყიერ შლამს, იქიდან ჭიაყელა ამოჰყავს.

იმიტომაც სუქდება ბატივით.

## ბომბეშო

ქვამ შვა, ქვის ქვეშ ცხოვრობს და საფლავიც იქ ექნება. გომბეშოს ხშირად ვეწვევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მინიატურები



ხოლმე. მუდამ, როცა ქვას გადავწევ, მისი დანახვისა მეშინია და იმისიც, ვაი თუ არ დამიხვდეს-მეთქი.

იქ დამიხვდა.

სუფთა და მშრალია მისი ვიწრო საცხოვრებელი. ქვას შეფარებული, კარგად გრძნობს თავს. მთელი სიგრძე-სიგანით გაშლილა. ხარბი ჯაცის ქისასავით გაბერილა.

მხოლოდ წვიმაში თუ გამოძვრება გარეთ. მეგებება. ერთორს გადაბობღდება, მერე შეჩერდება. ფეხებს დაეყრდნობა და თავისი ჩაწითლებული თვალებით მიცქერს. თუ, ეს უსამართლო წუთისოფელი. გომბეშოს კეთროვანივით გაურბის, მე, პირიქით, მინდა, რომ ჩავუცუცქდე და ჩემი, ადამიანის სახე მივუახლოვო.

მერე დავძლევ, თუ რამ ზიზლი კიდევ დამრჩება შენდამი, ჩემო გომბეშო, და მოგეალერსები!

ცხოვრებას თავისი კანონები აქვს, რაც თვალში არ მოუვა, უთუოდ შთანთქავს.

გუშინ კი დავკარგე გულმოწყალება. გომბეშო სულ იფხორებოდა, თავისი წყეული მეჭეჭებიანად ერთიანად დანამული იყო.

— საბრალო მეგობარო, არ მინდა გაწყენინო, მაგრამ ღმერთო ჩემო, რა საშინელი ხარ!

მან თავისი, ხავშვივით უკბილო პირი დააღო, თან ოხშივარი ამოაყოლა და ოდნავ ინგლისურ კილოზე მიპასუხა.

— შენ?

## ხეთა ოჯახი

ხრიოკი ველი რომ გავიარე, ხეთა ოჯახს გადავეყარე. მათი ადგილსამყოფელი გზის პირას არ იყო — ხმაური შეგვაწუხებსო. იდგნენ უკაცრიელ მინდორში, წყაროსთან. რომელსაც მხოლოდ ჩიტები თუ ეწვევიან.

შორიდან იქაურობა გაუვალ ტყესავით მოჩანდა, მაგრამ როგორც კი მივუახლოვდი, კენწეროები გაიშალნენ. შემეძლო დამესვენა, გავგრილებულიყავი, მაგრამ მივხვდი, ხეები მაკვირდებოდნენ, ფრთხილობდნენ.

მათ ოჯახში ხნოვანნი შუაგულში იდგნენ, ნორჩები კი, პირველად რომ იმოსებოდნენ ფოთლებით, გარშემო მიმოფანტულიყვნენ, მაგრამ ცალკე არ გრძნობდნენ თავს.

ხეებს დიდი გზა უწერიათ სიკვდილამდე, ადრე წაქცეულებს კი ისინი მცველებად უდგანან, მანამ სულ მტვრად არ იქცევიან. ერთმანეთს თავიანთი გრძელი ტოტებით, ბრმებივით ეალერსებიან, ხომ ყველანი ერთად ვართო. თუ ქარი დაემუქრება — ძირფესვიანად ამოგაგდებთო — ტოტების რხევით უტევენ. ერთმანეთში სულ არ კამათობენ, თანხმობასაც ჩურჩულით გამოხატავენ.

ვხვდები, ჩემი ნამდვილი ოჯახი, ხეთა ოჯახი უნდა იყოს. მალე დავივიწყებ სხვას: ხეები ნელ-ნელა შემიგუებენ. ამის ღირსი თუ გავხდები, მათ ხირსაც ვეზიარები.

შევძელი თვალი ვადევნო მიმავალ ღრუბლებს.

შევძელი შევეგუო ჩემს ადგილსამყოფელს.

დუმილიც თითქმის შევძელი.

## კაჭკაჭი

ადრე სულ შავი იყო. ბოლო ზამთარი კი მინდვრად გაატარა და ბუმბულზე თოვლის ქულები შემორჩა.

## ობობა

თმაში შეყრილი ბუსუსიანი პატარა ხელი.

## პეპელა

ორადმოკეცილი სატრფიალო ბარათი ერთი ყვავილის მისამართს ეძებს.

## ციცინათელა

რა ხდება? ღამის ცხრა საათია და სინათლე კიდევ უნთია!

## კატა

ჩემი კატა თაგვებს არ მიირთმევს. ეს საქმე არ ეკაშნიკება. თუ დაიჭირა — ეთამაშება. თამაშით გულს რომ იჯერებს, თაგუნას სიცოცხლეს უწყალობებს. თავად კი გაისეირნებს და უცოდველი, საოცნებოდ თავის კაუჭა კუდზე მოიკალათებს.

ნაბრჭყალევი თაგუნა კი სულს განუტევებს.

## ინდაურები

გზაზე, ინდაურების კიდევ ერთ სამყოფელს ვხვდებით. დარში თუ ავდარში, სულ სეირნობენ. არც წვიმის ეშინიათ — მათზე უკეთესად ვერავინ იკეცავს სამოსელს; არც თაკარა მზის — ნამდვილი ინდაური, ხომ მზის ქოლგის გარეშე არ გამოდის გარეთ.

ფრანგულიდან თარგმნა
**მარინე ჭილაშვილმა.**



რედაქციაში მკითხველი მოვიდა

# აღსარება

ყოველ ცისმარე ინსტიტუტისკენ მიუხაროდა. სახიერი იყო, მომხიბლავი. საოცრად მბზინავი შავი გრძელი თმა მხრებზე სქელ ტალღებად ეფინა.

იმ დღესაც ლექციებზე მიიჩქაროდა, სახლის სადარბაზოში, ცისიას — ქალის ხმა შემოესმა. იგი შეჩერდა. მეზობელი შეიცნო, ენაჭარტალა სონას რომ ეძახდნენ. მარტოხელა, უსაქმური შინაბერა სხვისი ასავალ-დასავლის ძიებასა და ჭორაობაში ათენებდა და აღამებდა.

რაღაც საიდუმლო უნდა გითხრათ და კედელთან იხმო ქალიშვილი: აბა, იქ რა გაგახარებს, სადაც დედაშვილობა არ არის. ესენი შენი დედობილ-მამობილია და არა მშობლები, ესა თქვა და სწრაფად გასცილდა. ქირქილით ჩათვალა კიბეები, გაქვავდა ცისია. მის უძრავ, უსიცოცხლო სახეზე სასოწარკვეთილება გამოიხატა. დედის გვარიც ვიცი, ლალი მაკალათიას შვილი ხარო. ლალი ცდუნებას აყვა — იმშობიარა და სამშობიაროდან თოთო ბავშვი შენმა გამზრდელებმა წამოგიყვანესო. მოულოდნელობით გოგონას თავზარი დაეცა. შესიტყვება ვერ მოასწრო.

დედას ეუცხოვა ქალიშვილის შინ დაბრუნება. შეუძლოდ ვარო, აღმოხდა ცისიას და საძილე ოთახის კარი შეაღო. მძიმე წუთები ჰქონდა. განადგურებული, მტანჯველ გარემოში იმყოფებოდა.

ცოლ-ქმარი გრძნობდა, რომ მათ ჭერქვეშ რაღაც უბედურებამ დაისადგურა. ვერ აეხსნათ, რა მოხდა, ასე ირიბად რად უცქერდა მათი ქალიშვილი. იქნებ ვინმე შეუყვარდაო, თავს იმშვიდებდნენ შემოჭარული ფიქრებისგან ნაგვემ-ნაცემნი.

ცისიამ სამისამართო ბიუროს მიმართა. ეგების დედა ვიპოვოო, სონას თქმული გვარისა და სახელის მისამართები დააზუსტა, შემდეგ კარდაკარ ძებნა დაიწყო, მაგრამ მის ასავალ-დასავალს ვერ იქნა და ვერ მიაკვლია. ალბათ გათხოვდა და ქმრის გვარს ატარებსო, დაასკვნა ბოლოს.

დრო რომ გახდა მისი მკურნალი, ოჯახის ბზარი თანდათან ღრმავდებოდა. ტკივილები გულს უფლეთდა და ცისიასა და გამზრდელებს შორის აღიმართა კედელი. უდანაშაულო დამნაშავენი ზეზეურად ითანგებოდნენ და აბა ვის გაუმხელდნენ მათ დიდ გასაჭირს.

სწავლაზე გული აიყარა. ლექციებს კანტიკუნტად ესწრებოდა. ჯერ პაპიროსის წევას მიჰყო ხელი, ყავას დაუსრულებლად სვამდა, მკითხავებთანაც მოუხშირა სიარული.

საზღვარი არ ჰქონდა მის თავნებობას. კიდევ ერთი წინდაუხედავი მცდარი გადადგმული ნაბიჯი და ნარკოტიკებით მწეველთა გარემოში მოხვდა. ეს „პლანიაო" შესთავაზეს და უარი არ უთქვამს, ნეტარების განცდა დაეუფლა, თავდავიწყების ბურუსში გაეხვია. ის დღე იყო და თანდათან შეეჩვია თავსმოხვეულ უბედურებას. მას შემდეგ გაუჩნდა ნარკოტიკების დაუოკებელი სურვილი. აკრძალული შხამის საშოვნელად ხომ ფულიც იყო აუცილებელი. უკვე თავს ვერ აღწევდა წუმპეს, რომელშიც იგი ტივტივებდა, და მალულად, ნელინელ ეზიდებოდა, ყიდდა ყველაფერ საუკეთესოს, რაც ბინაში გააჩნდათ. ზღვა წვეთობით დაილიაო და თანდათან ცარიელდებოდა მათი ოჯახი. უთქმელი დარდისგან ილეოდნენ მშობლები.

ერთ დღეს შენიშვნებით თავმობეზრებულმა ცისიამ გამზრდელებს განუცხადა: — გავიგე, რომ თქვენ არა ხართ ჩემი დედ-მამა, და სონას მონათხრობი მარცვალ-მარცვალ უამბო.





ეროვნული ბიბლიოთეკა

სასამართლოში საქმე აღიძრა, პირშავს მზაკვრობა არ აპატიეს. დამნაშავეს სასჯელი მიუზღეს. მაგრამ ურემი გადაბრუნებული იყო და გზის გამოჩენა მხოლოდ სინანულს იწვევდა.

... ცისია რედაქციაში მოვიდა. იაფფასიანი ქსოვილის კაბა ეცვა. გაცრეცილი ხელჩანთა ეჭირა. თმას ელვარება შერჩენოდა და გამხდარ მხრებზე სქელ ტალღებად ეფინა. ლამაზი სახის ნაკვთები გაფერმკრთალებოდა, დაშრეტილი ღრმა თვალებით უძრავად მისჩერებოდა ერთ წერტილს. განადგურებული იჯდა.

ახალგაზრდა ქალი ნაიარევი გულით აღსარებას ამბობდა. იგი ფეხმძიმე იყო. წუთით შეჩერდა, ბაგეებზე ღიმილი შეეპარა, მოლოდინი აკრთობდა, დედობის მოლოდინი, წარუხოცელი სიცხადით გადატანილი საშინელება სახეზე მკვეთრად აღბეჭდოდა, შვილის სიცოცხლის გადარჩენის სურვილი მძლავრად აღძვროდა, რადგან თვითონაც ხომ შვილი იყო, ბედკრული და მიუსაფარი.

— დღეს დილით საიუველირო მაღაზიის კუთხეში ვიდექი, ხალხი ირეოდა. შუახნის ქალმა თვალი მომაპყრო, ერთხანს შორიდან მიმზირა, შემდეგ კი ჩემკენ გამოემართა. აქ რატომ დგახარო, ჩუმად, გაოგნებით მკითხა. პასუხად ხელჩანთა გავხსენი და ვერცხლის კოვზები შევთავაზე, თვალყურს გადევნებდით, გამყიდველს რომ მოჰკითხეთ და გეძვირათ, აი მე იაფად გაძლევთ, ძალზე იაფად, ოღონდ ჩემგან იყიდეთ. გემუდარებით, იყიდეთ-მეთქი, შევღაღადე და თვალები სახეზე მივაპყარ. წამით დავდუმდი.

წარმოსახვაში დედის თვალებმა გაიელვეს. შევკრთი, ის არ იყოს-თქო. ჩემს შემყურეს ეცრემლებოდა. შენ დღეიდან არაფერს გაყიდი, სახლში წახვალ და ნარკოტიკებს თავს დაანებებო, ყოველ გადადგმულ ნაბიჯზე დაფიქრდებიო, დამარიგა და წავიდა. მე თქვენსკენ გამოვემართე. თქვენც მირჩიეთ რამე.

ცისია ყვებოდა თავგადასავალს და სიტყვები ბაგეებზე ეყინებოდა. ხელჩანთა გახსნა. სტუდენტის მატრიკული მოკრძალებით გადმომაწოდა. გადავფურცლე. ერთი წლის წინათ შეწყვეტილი, ადრე მიღებული მხოლოდ ხუთიანები, შემდეგ კი ცარიელი ფურცლები მკრთალად გამოიყურებოდნენ.

— მე კარგად ვიცი, მსაჯული მაღლა ღმერთია. შვილმა უნდა მიხსნას, გადამარჩინოს. ფეხმძიმე ვარ და დედა უნდა გავხდე. ალბათ შემინდობს უფალი...

რედაქციის კედლებში ახალგაზრდა ქალი აღსარებას ამბობდა, მბზინავი შავი გრძელი თმა გამხდარ მხრებზე სქელ ტალღებად ეფინა. გაცრეცილი ხელჩანთიდან უხალისოდ მომზირალ კოვზებს ცივი ვერცხლისფერი დაჰკვროდა.

ეთერ ჯაფარიძე

# გუმანი, გეში, გეზი ...

ხელოვნების ენა ყველასათვის გასაგებიაო, ამბობენ, ხელოვნებას საზღვრები არა აქვსო — ასეა ვითომ? ხელოვნების ზნეობრივი შინაარსი მართლაც საკმაოდ იოლად იკვლევს გზას ერთი ქვეყნიდან მეორეში ადამიანთა სურვილების, გემოვნებისა და სულიერი მზაობის კვალობაზე. მაგრამ საკუთრივ ესთეტიკური ფენომენი, რაც განაპირობებს სწორედ ხელოვნების ზემოქმედების ხარისხს, უნდა ვაღიაროთ ალბათ, რომ მეტწილად გამოუცნობი და შეუცნობელი რჩება. რატომ ხდება ეს? ჩემის აზრით იმიტომ, რომ ესთეტიკური ფენომენის საფუძვლები გენეტიკურ შეგრძნებათა სფეროში ძევს. თუმცა, ის გარემოება თავისთავად, რომ ხელოვნება, ასე თუ ისე, მაინც ზემოქმედებს ყველაზე, უეჭველად იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ მართლა ერთია გენეტიკური ფესვი და ძირი კაცობრიობისა.

* * *

ძველი თაობის მოაზროვნენი ფიქრობდნენ, რომ მკვლევარი და შემოქმედი შეუცნობელი ჭეშმარიტებისაკენ ეჭვსა და გუმანს მიჰყავსო — იქნება დადგა დრო, დავანებოთ ეს „ეჭვი“ და „გუმანი“ მინერვათა ზღაპრულ სამყაროს და პირდაპირ ვიკითხოთ — ხომ არ არსებობს მომავლის იმ ზომით განცდა, რასაც ერეტიკოსის სითამამით „მომავლის გამოცდილება“ შეიძლება ეწოდოს? ეს თუ ასე არ არის, მაშ რითი ავხსნათ, ასე აშკარად გაცხადებული ჩვენი დღევანდელობა, მაგალითად, სერვანტესის „ლიცენციანტ ვიდრიერაში“?

* * *

ყველაფრისათვის თავისი სახელის დარქმევის მოყვარულთაგან ხშირად გაიგონებთ ამა თუ იმ გენიალური ქმნილების გამო თქმულს — „ხრულყოფილიაო“ — ხომ არ არის ეს მეტისმეტი ფამილიარობა გენიის მიმართ? ხომ არ არის ეს უხეიროთა ნიჰილისტური შეთამაშება გენეტიკურ რემინისცენციებთან, რაც განსაკუთრებული ძალით იჩენს ხოლმე თავს გენიოსებში?

* * *

საზოგადოებრივად აქტიური მდაბიორის სულისკვეთებას შურისგების დაუოკებელი წყურვილი უდევს ყოველთვის საფუძვლად. მდაბიორისათვის უცხოა სხვისი ღირსების შეგნება, აღტაცება და მიმტევებლობა ღირსებამოსილისადმი; რა ბედნიერი იქნებოდა კაცობრიობა, ღირსეულთ რომ ისევე შეეძლოთ შეკვრა და შეკავშირება, როგორც ეს ულირსთ ძალუძთ.

* * *

ორმაგი რეპუტაციის მქონე ადამიანები ხშირად მეტისმეტ ორთოდოქსობაზე სდებენ ხოლმე თავს ზნეობისა და პოლიტიკის საკითხების დაცვისას.

* * *

პოეტებმა ამორძალის მორალური სინატიფით შემოსეს ქალი, რევოლუციონერებმა — ზნეობრივი ნიჰილიზმის საბურველში გაახვიეს იგი, ბურჟუაზიამ კი პიკანტურობის ყოველგვარი სამოსისაგან განძარცვა.

* * *

ფრანგი აბატი დე ლა პორტი ფარული დონ-ჟუანობით ქირდავდა მამმადს — იგი საქართველოში არ ჩამოვიდა, რადგან ქართველებს მეტისმეტად მომხიბვლელი ქალები ჰყავთ.

თეიმურაზ ფირალიშვილი





ფილმი „ხევსურეთი — მითის გაცოცხლება" საქართველოს ულამაზესი კუთხის მართალი ისტორიაა. მისი ძველი და ახალი ცხოვრება დღევანდელი დღის პოზიციიდან არის დანახული.

„მთა მუდამ იყო ცასთან მიდგმული კიბის მთავარი საფეხური. ღმერთების მიწიერ სამყოფელად მთა ითვლებოდა.

— ძველი სოფლის ზურგთან აწოწილი მწვერვალები დგანან, ზოგჯერ იგრგვინებენ, თითქოს ვეფხვებმა გაიღვიძესო და დეკის რტოებს ძველისძველ საფლავებზე გამოიყავენ. მაგრამ ეს მცენარეები ვერ აგუობენ მკვდართა სოფლებს, ფოთლებს იცვლიან და გარდასახვით ხარობენ".

დიქტორის ამ სიტყვების ფონზე ცოცხლდება ხევსურეთის ზღაპრული სილამაზის ბუნება: მიუვალი მთის მწვერვალები, ციხე-კოშკები, ნასოფლარები.

შორეთიდან მოისმის გრძნეული მკურნალის და ქადაგის ხოგაის მინდის ლეგენდების საუფლო.

ვინ დაადუმა ეს სამყარო და ვინ წაართვა ბალახი და მცენარე მიწას, სიცოცხლე და სიხარული ერს, რომელიც აქ ცხოვრობდა, ნადირობდა... ხნავდა, თესავდა, მკიდა, ათენგენობდა, ხმალს ლესავდა და ქსელსა ბეჭავდა. ვინ დაადუმა მითისა და ფოლკლორის საუფლო? კაცის სიკვდილი წესია, მაგრამ სოფლის სიკვდილი? მთის მწვერვალზე დგას ხევსური და ისმის მისი ხმა:

— მე არ ვიცი, რომელია ჩემი სოფელი და სადაური ვარ...

მითის მიხედვით მოვა მტერი უცხო, უცნობი, იგი არ იქნება არც თათარი, არც ლეკი, არც სპარსელი, მოვა ქოჩორყვითელი ხალხი, უწამური, მათი ხელით მოისრება ყოველივე — სინდის-ნამუსი, ყანა, პირუტყვი, ხატი.

კადრმიღმა დიქტორის ხმა ბუბუნებს:

— მთიულ-გუდამაყრელნო, ფშაველ-ხევსურნო! ნუ აიყრებით წინაპართა ადგილებიდან, ნუ წახვალთ უკან მოუხედავად, ნუ გასწირავთ ორბის ფრთიან კოშკებს და ჭრელ მამულებს, ლამაზი სიზმრებივით რომ ჩანან შორიდან.

რუსეთის იმპერიის 70 წლის ბატონობამ ხევსურეთის ყოფა და ცხოვრება ყველა სფეროში გაანადგურა.

ხევსურეთის დაცარიელებულ სოფლებში სიცოცხლე უნდა აღდგეს! ეს არის ფილმის ლაიტმოტივი.

დიდი მუშაობა გაუწევია ფილმის შემოქმედებით კოლექტივს, სცენარის ავტორს კობა არაბულს, კინორეჟისორებს შალვა და მერაბ ჩაგუნავებს. თვალწარმტაცი პეიზაჟი, პირქუში მთები და მწვერვალები, უკაცრიელი გარემო სურათში შთამბეჭდავად არის ასახული. ფილმის ყველა კომპონენტი ერთ გამომსახველობით მთლიანობაშია — სცენარის ავტორის, რეჟისორების, ოპერატორების ხედვა, მუსიკალური გაფორმება თუ დიქტორის თხრობა.

ფილმის ოპერატორებია ვახტანგ ბეგოიძე და დავით ნადირაშვილი, ხმის ოპერატორი გია აბაშიძე, მუსიკალური გამფორმებელი რუსუდან ლალიძე, რედაქტორი ნინო ბექვაია. დიქტორი მსახიობი თეიმურაზ ნაცვლიშვილი და ყველა ერთად შეეცადა მეტყველ, ორიგინალურ ფორმაში გადმოეცა ხევსურთა ის თვითმყობადი დაუოკებელი სული, რამაც გაუძლო ისტორიის გამოცდას.

— მიწაზე გმირები დარჩებიან და დაიცავენ მას, დაიცავენ ყანას და სახლებს, ჯიშს, სისხლს და, თავისუფლებას სისხლისას, ღმერთო შეგვიწყალე! ხევსური ბავშვის ხელაპყრობილი ლოცვით მთავრდება მეტად საინტერესო, პოეტური ფილმი „ხევსურეთი, მითის გაცოცხლება", რაც შემოქმედებითი კოლექტივის უდაო გამარჯვებაა.

„დროშის" მე-8 ნომერში გამოქვეყნებული
კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად**: 5. მელიქიშვილი; 7. ობლიგაცია; 12. გონიო; 15. კრავი; 16. სარჩელი; 17. პელე; 18. ფარი; 19. რეიდი; 20. აგარა; 21. დანი; 23. რაში; 24. პრუნელი; 25. სიონი; 26. ატრია; 29. ფლორენცია; 32. სარაჯიშვილი.

**შვეულად**: 1. ქლიბი; 2. ოქმი; 3. უშბა; 4. მისია; 6. კოოპერატივი; 8. გირჩა; 9. დავარაშვილი; 10. „ქიმერიონი"; 11. ტრაფარეტი; 13. ფანდური; 14. ფლიგელი; 22. ონისე; 27. ქლორი; 28. ლიბრა; 30. რაჯა; 31. ნუში.

გარეკანის პირველ გვერდზე: „მშვიდობის ჩირაღდანი". მოქანდაკე გიორგი შხვაცაბაია. ჰეგლი დაიდგა საბერძნეთში, ძველ ოლიმპიაში.
მეოთხე გვერდზე: პეიზაჟი, ფოტო გია ჟამიერაშვილისა.

გადაეცა წარმოებას 11.05.92. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.06.92. ქაღალდის ზომა 60×90 1/8. გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 4. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 5,6. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,69. ტირაჟი 22 700. შეკვეთა 789. ფასი 1 მან. 60 კაპ.

Ежемесячный независимый общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»). (на грузинском языке). 390096, Тбилиси, ул. Костава, 14. Типография газетно-журнального издательства «Самшобло». Адрес редакции: 380008 Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი:

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებათა გამგეების — 93-28-42, რედაქციის სამდივნო — 99-01-39

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა





კადრები ფილმიდან









ნ 68/60